

# საღვთისმშობლის დღი



როლანდ გიორგაძე

# მთხრობები

თბილისი  
2011

ლიტერატურას ჩვენს თვალწინ სულ უფრო მეტად ეტყობა კომპერციულობის დადი. ბედის მაძიებელი ახალგაზრდა, მოლას აყოლილი კალამს იმ განზრახვით იღებს ხელში, თანამოკალმეებს უხამსობაში გადააჭარბოს და ამით მიიქციოს ყურადღება, „წარმატებას“ მიაღწიოს. სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა უმეტესი ნაწილის დევიზი კარგა ხანია გახდა „სენსაცია“ და „სკანდალი“, ხელს უწყობს ამგვარი მაკულატურის რეკლამირებას. მართლაც რომ, ერთი ჩვენი ქალბატონი პოეტის თქმისა არ იყოს, შესაბრალისია ის ხეები, სამაკულატუროდ რომ იჩეხება და ნადგურდება.

უსევედოლიტერატურის ამ მოძალების დროს კეთილმოსურნე მკითხველს გულზე მოხვდება ახალგაზრდა კაცის წრფელი სიტყვა, უშუალობა, შინაგანი მღელვარების, ფიქრების, გულისნადების გამხელა, მოეწონება ყოფითი სინამდვილის შმორთან შეუგუებლობა და ცხოვრების წმინდა წყაროსადმი ღტოლვის სურვილი, სიზმარეული ხილვით თუ ლირიკული აღსარების სახით გამოსატყული.

ერთი დიდი ინდოელი პოეტი ამბობს, ბალახი არ ცდილობს, ბაობაბის ხედ გადაიქცესო. ამიტომაც არის ბუნება მრავალფეროვანი. ლიტერატურაც ასეა: ვისაც თვითგამოსატყვის უნარი შესწევს და სათქმელი აწუხებს, თავისი ხმაც აქვს, რაც ქმნის ლიტერატურის მრავალხმიანობას, მრავალფეროვნებას.

რედაქტორისაბან

რედაქტორი თენგიზ ჩხაიძე


მხატვარი მერაბ გეწაძე

დიზაინერი დავით მეგენიშვილი

© როლანდ გიორგაძე, თბილისი, 2011

ISBN 978-9941-0-2742-0

მზე  
სიკვდილი  
დადის?!







შუალამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. ცა ვარსკვლავებს ისე მოეჭვდათ, ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არსად იყო.

პირბადრი მთვარე თავის მეუფებას ზეიმობდა. ყოველთვის ჩაბნელებული ლამპიონებიც კი აკაშ-კაშებულიყო ქალაქის ამ უპატრონო გარეუბანში.

გაუკაცრიელებულ ღამის შიშნარევ მდუმარებას შუა ასაკს მიტანებული მამაკაცის ფეხის ხმა არღვევდა, რასაც კაცის ხელდანატრეული, მოუვლელი კორპუსები ექოდ ახმიანებდა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიდილინებდა. თავაწეული, ზეცას შეჰკლიმოდა. ძნელად შესამჩნევი ბანცალი დაკვირვებულ თვალს მიახვედრებდა, რომ კაცი ნაქეიფარი იყო.

– რერო-ოო... სულ არ მოვალ ამ სოფელში რეროო... არ ვარგა, ხმები მაკლია... ხმები. რაო, თქვენო უდიდებულესობავ მთვარევ! – შუბლმოჩრდილულმა აიხედა ზეცისკენ – იქნებ

თქვენ, თქვენ, დამეხმაროთ. ბანი მაინც მომეცი, შე დალოცვილო... ეჰ, – ხელი ჩაიქნია კაცმა, შორსა ხარ, შორს, რას მომაწვდენ. ისე, დღეს რავა პატარძალივით გამოიყურები – გალამაზებული, გაკრიალებული, სუფთა და ულაქებო, ჰა, რაშია საქმე?

მუდმივ საზრუნავში ჩაფლულმა მთვარემ, ღიმილით გადმოხედა შეტორტმანებულ კაცს, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და ქათინაურისაგან გახალისებულმა ერთი-ორად მოუმატა ნათებას.

– ვიტყვი, რა, მეც, მოცლილი ხომ არ არის, მთელი სამყაროს დამეული დარაჯია. - ბოდიში, გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გეთაყვა. აი, ჯამლეთი, რომ იყოს ახლა ჩემს გვერდით, იცოცხლე, დავაგუგუნებდით, – კაი პირველი აქვს, მაგრამ მარტო ვარ, ერთი ხმა კი ქართულ სიმღერაში ბევრი არაფერია. კაცი ჩაფიქრდა, მერე ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ მთვარეს ახედა და საზეიმოდ განაცხადა:

– აი, ახლა მე უდიდესი რამ აღმოვაჩინე, – ისე ადრეც ვფიქრობდი, მარა არ განმიცხადებია. ახლა კი თქვენი თანდასწრებით ვაცხადებ: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სამი ხმის გარეშე ქართული სიმღერა არ გამოდის. ე.ი. სამი ჰიპოსტასი. ღმერთიც სამებითაა. სამი საკრალური რიცხვია. მეტყვი ახლა შენ, ბოდიში თქვენ, ბატონო მთ-

ვარევ, რა არის აქ აღმოჩენა? მოიწიე აქეთ, თუ  
კაცი ხარ და გეტყვი, მოიჩოჩე ხომ, ხოდა, მის-  
მინე. ქართველთა ხსნა და გადარჩენა სამებაშია.  
გათითოკაცებაში კი არა, სიმრავლეში, ერთიანო-  
ბაში, აი, მარტივი მაგალითი. სიმღერიდანაც ჩანს  
ეს, მაგრამ ამას, ძმაო, მიგნება უნდა. მარტივია,  
ხომ? ხოდა, მაგ სიმარტივეშია მისი სიდიადე.  
ასე, ჩემო ძმაო და მეგობარო, მე ყველაზე ხმა არ  
მიმიწვდება, შენი გადასახედიდან კი ყველაფერი  
ხელისგულივით ჩანს, ნუ დაიზარებ და მიაწვდინე  
ხმა ჩემს თანამემამულეებს. შევთანხმდით, ხომ,  
ასე არა სჯობია? აგაშენა ღმერთმა. ეჰ, მთვარევ,  
მთვარევ! — წამოიწყო სიმღერა. — მთვარეზე  
სიმღერას არავინ წერს, არადა, საჭიროა. მოვი-  
ცლი და მე ვიზამ მაგ საქმეს. დავსხვდეთ მერე  
მე და შენ ღამდამობით და ვიმღეროთ ერთად.  
ერთი ხმა მაინც მომემატება, — გამოსავალი ნახა  
კაცმა.

მთვარესთან მუსაიფში გაბმული კაცი გზის  
პირას მდგარ ნაგვის ბუნკერს მიადგა, რომელშიც  
უპატრონო ძაღლები ელა-მელას გადადიოდნენ.  
კაცი შიშით გაერიდა საფრთხეს. — ხორცსავსე  
არ ვეგონო — მჭლე კაცს კბილი არ გამკრანო.

— რა ვქნა ახლა მე, გულს ემღერება და  
როგორ არ ვიმღერო, ვინ დამძრახავს, — თქვა  
შექეიფიანებულმა. — ჩემთვის ისე, მოგუდულს

მანც ვიტყვი. „რეროლო“ – წამოიწყო კაცმა და ერთი სტროფიც ჩაათავა. თან მიდიოდა. არც ბევრი ჰქონდა გავლილი და არც ცოტა, როდესაც გაჩირალდნებულ სუპერმარკეტს მიადგა. შეჩერდა კაცი, შეხედა და გაიფიქრა – „რავა ზღვასა და წყვილადს შეჭიდებული „ტიტანიკით გაჩახახებულაო“.



ფული რას არ გააკეთებინებს კაცსო. კიდევ ერთხელ შეხედა უცნაური კონსტრუქციის შენობას და ფოთოლგაცვენილი ალვის ხის ძირას გაკეთებულ ძელსკამზე ჩამოჯდა. მიეყრდნო

საზურგეს, თავი უკან გადასწია და ისევ ცას მიაპყრო მზერა.

– ცაო და ვარსკვლავებო, რამდენ საიდუმლოებას იტევთ, ნეტავ, რა ხდება მანდ? ან რა არის ცა? ნეტავ რამდენი ცაა! ნუთუ ეს ცა ლიბრია, ფარდაა, რომლის მიღმა ჭვრეტა ხორციელს არ ძალუძს. გამიგონია, სულიერი ხედვაა მისთვის საჭიროო. სულიერი ხედვა მხოლოდ

გარდაცვალების შემდეგ მოდისო. არადა, მე ახლა მინდა ვიცოდე. იმასაც ამბობენ, მხოლოდ ღვთის რჩეულებს ხელეწიფებათ ჭვრეტა მიღმიეთში. მე კი, მე ვინ ვარ?!

მერე, თითქოს თავისი უძლურებით გაგულისებულმა, ნიშნისმოგებით განაგრძო:

– თქვენ, რომ გადმომმხობიხართ თავზე და ციმციმებთ, მარტო ციმციმი რა არის, ციმციმი ნათურასაც შეუძლია. ერთი მითხარით, ღვინო თუ მოგყავთ, ღვინის ფასი თუ იცით. აჰა, ჩაფიქრდით, არ იცით? მაშ, თქვენ არაფერი გცოდნიათ. ხელი ჩაიქნია კაცმა. მყვანან, რა, ესენიც! კაცი მიწას ჩააშტერდა, ფეხით მოსრისა ფოთოლი და გუნებაგამოკეთებულმა ღიმილით განაგრძო:

– სულ მიკვირს, სპარსმა კაცმა როგორ თქვა, „ბაგით დავწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე“. ეჰ, - შეეკამათა მღუმარე ოპონენტს, - არ იქნებოდა ის კაცი სპარსი, რომელიმე ქართველის შვილი იქნებოდა უთუოდ. სავსე იყო მაშინ სპარსეთი ქართველებით, სილამაზე აკლდათ, თუ ვაჟკაცობა – კმაყოფილმა ჩამოისვა ხელი უღვაშებზე. – ვის ძარღვებშიც სისხლთან ერთად ღვინოც არ ჩქეფს, რა იცის მან ღვინის ფასი. ჰო, მიყურე, შენ, მიყურე და მიჭვრიტინე თვალებში. ჰო, თქვენ გეუბნებით, თქვენო უდიდებულესობავ, მთავრევ. – ფეხზე წამოდგა კაცი და რევერანსი



გაუკეთა ზეცას. მერე ისევ ჩამოჯდა. — ჰო. ჰო, ჰო, რა გიხარია, შე უბიწოებადაკარგულო, ცოდვილი კაცის ტურტლიანი ფეხი შენ მიწასაც შეეხოს, — კაცმა ხმას დაუწია და შემრიგებლური კილოთი განაგრძო. — ვაზი მაინც წაელოთ იმ დალოცვილებს, ერთი ძირი ვაზი მაინც. გაწითლებულმა მთვარემ საიდანღაც ობლად მოფარფატე ღრუბლის ფთილა ჩამოიფარა და ნათებას უკლო.

— კაი, გეყოფა ახლა, ნუ მიბრაზდები, მარტო შენი ბრალიც არ არის. ჰო, გეყოფა ახლა, გეყოფა. ერთი, მაინც მიხარია, სირცხვილის გრძნობა გქონია. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. შესარიგებლად, ჩემო მნათობო, გიმღერებ, აბა, ყურადღებით. რერო, — წამოიწყოო კაცმა, — არა, არ გამოდის, ორი კაცი მინდა ახლა მე და ერთი ბოთლი ღვინო მაინც. ავაკსებდი ჭიქას, — ხელი გაიწვდინა კაცმა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ისევ ზეცას მიაპყრო თვალი, — იცი, რატომ არ გამოდის მე ახლა სიმღერა? გარდა იმისა, რომ მარტო ვარ, გიმეორებ, ღვინოა კიდევ საჭირო. ეჰ, შენ რა იცი? ღვინო ამღერებს კაცს. უღვინოდ მხოლოდ მსახიობები მღერიან. ამიტომაც არის მათი სიმღერები უმარტილო. მოიხედე აქეთ, თუ კაცი ხარ, გეყოფა ბუთიაობა და, თუ ღმერთი გწამს, მოუმატე ნათებას. კიდევ დიდი გზა მაქვს

გასავლელი. ეგრე, შე დალოვილო, ჩემო ბატონო, მთვარევ, იცი, რა მინდა შევსვა ახლა ამ სას-  
მისით? ხვდები? მოდიხარ ხომ ნელ-ნელა ჩემს

ჭკუაზე? ერთი შენი თავი მომცა  
ახლა აქ და ერთი ჭიქა მაინც  
შემასმევინა შენთვის. ხვდები, ხომ?  
აი, ამ ჭიქით მისი უდიდებულესო-  
ბის და უგამხალისებულობის –  
ღვინის – სადღეგრძელო მინდა  
შევსვა. ღვინის სამადლობელი  
მინდა ვთქვა, ვაზის სადიდებელი.  
ღვთივკურთხეულო მცენარევ, დღე-  
გრძელი იყოს შენი ფესვი და შენი  
მადლიანი წვენი აწ და მარადის  
და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! თუ  
რატომ ვთქვი, მერე მიხვდები.

ბატონო მთვარევ! დავითი თუ  
გახსოვს, ებრაელთა მეფე? ძა-  
ლიან კარგი, თუ გახსოვს. ის თუ  
გახსოვს, რა უწერია თავის ფსალ-  
მუნებში? შენ იმდენი ხნის ხარ,  
არ არის გასაკვირი, რომ დაგვიწ-  
ყებოდეს. ჰოდა, გაგახსენებ: „ღვინო  
ახალისებს გულსა კაცისასაო“. მიხვდი ახლა, რატომ ვარ ასეთ



კარგ გუნებაზე? თუ მიხვდი, მაგას რა სჯობია? არა, იმას თუ ხვდები, საით ვუმიზნებ მე? მოდი რა, მთლად ნუ დაიბნევი, ისევ არ გამებუტო, თუ კაცი ხარ. სხვა რა გზაა, გეტყვი. ნუ გგონია, რომ ყველა ჩემსავით დაგიჯდება და გაგანათლებს მიწიერი საიდუმლოებებით. ჰოდა, მისმინე. იმ დალოცვილმა, ქართველებისაგან ისწავლა ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება. კარგი, კარგი, ნუ გელიძება ახლა. ღვინო ჩვენი ეროვნული განძია, ჩვენი სიამაყე, ჩვენ დავამკვიდრეთ მსოფლიოს ყველა ენაში ღვინის ცნება. ღვინო, ძმაო, ფილოსოფიური კატეგორიაა, კაცობრიობის ხსნა და განწმენდა ღვინოშია, ქართულ ღვინოში, აბა, რა გეგონა შენ? ისე, დიდი უცნაური ხალხი კი ვართ ქართველები. დაგვეპატენტებინა მაინც, ხომ დაგვადგებოდა საშველი და ჩვენს შეჭირვებასაც მოედებოდა ბოლო. აუჰ, ეს რა წამომცდა, – შეფუცხუნდა კაცი, – ქართველი და ვაჭარი? ჩვენ დაუდევარი, უშურველი, ქველმოქმედი ხალხი ვართ. ჩვენ მხოლოდ გაჩუქება შეგვიძლია. რას არ გავაჩუქებთ ხოლმე?! მომხედე ერთი აქეთ, მომხედე, ალექსანდრე ფლემინგი თუ გახსოვს? ჰო, პენიცილინი რომ გამოიგონა და მერე მთელ მსოფლიოს უშურველად აჩუქა, მგონი, შოტლანდიელი უნდა იყოს. დამერწმუნე, ჩვენებურის სისხლი ურევია მაგის ძარღვებში. არ დამიწყო ახლა დავა და ნუ ხარხარებ. ვაჰ, ხარხარიც შეგძლება, ხომ გაგაცინე, ერთი წვეთიც არ დაგილევია და გუნებაზე მოხვედი. მერმისს

მოვახერხებ როგორმე, დაგაღვიძებო. თუ შენ არ ჩამოხვალ, მე მოვალ შენთან. რა, არ მიმიღებ? შე კაცო, რითა ვარ ამერიკელებზე ნაკლები. ეს რა ვქენი, კაცო, არ მოვკალი კაცი სიცილით? — და თვითონაც ახარხარდა, ახარხარდა გულიანად. მერე გამოერკვა და ტუჩზე ხელი მიიფარა, აქეთ-იქეთ გაიხედა, გიჟი არავის ვეგონო. — ერიჰაა, მუხლებზე არ ვდგავარ აქამდე!

ნაამბობით გამხიარულებულმა, ნამმორეულმა დედამიწამ კაცს ხელი შეაშველა და ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა.

კაცი წელში გასწორდა, მხრებში გაიჭიმა, დასიებული თვალები მოისრისა, მარადისობაში გადასული ფოთლები შეაშფოთა და, სახელიმილიანი, თავის კანტურით გზას გაუყვა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიდილინებდა: „გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყლისა დენამა“... ეჰე, ჰე, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, გამოალეთ ფანჯრები, ერთი დღისთვისაც კი ღირდა გაჩენა. სიცოცხლეს გაუმარჯოს, ქართველებო, სიცოცხლეს. გეხვეწებით, გეხვეწებით, მოუფრთხილდით ყოველ დღეს, ყოველ წუთს, მერე სანანებლად რომ არ გაგიხდეთ, მერე გვიანი რომ არ იყოს. შეხედეთ, რა მშვენიერია სამყარო, როგორ კაშკაშებს ცა, როგორ გვიღიმის მთვარე, კიდევ რაღა გინდათ? ლექსი გინდათ? ლექსსაც გეტყვით, ოღონდ იფხიზლეთ. ჩვენ რომ გვძინავს, მტერი ფხიზლობს, მტერი ძლიერი, უჩინარი და ვერაგი. კაცი შეჩერდა, გზის პირას ბუჩქნარევ, შემადლებულ

ადგილზე შედგა. ხელი ცისკენ გაიშვირა და დაიწყო:

ცას შემოეწნა ცეცხლის აკიდო,  
გრგვინვამ გააპო ღრუბელი შავი,  
დაბანგულივით გზააერულო,  
გეყოფა ძილი, აიღე თავი,  
არ გაქვს უფლება, არ გაქვს უფლება,  
იწვე სიკვდილთან წილნაყარივით.

კაცმა ხმას მოუმატა და რიხიანად განაგრძო:  
მოყვრად მოსული ვითომ მოკეთე,  
ბილწი ზრახვებით, ფლიდი ღიმილით,  
გადაგვარების, გადაჯიშების,  
მოურჩენელი არის ტკივილი...

კაცი აჩქარებული სუნთქავდა. წამიერად მთვარეს ტყორცნა მზერა. მთვარე გაყურსულიყო. უსმენდა. დადნა კაცი, ხმა დაირბილა და თითქმის ჩურჩულთ განაგრძო...

შენ სხვა მისია გარგუნა ღმერთმა,  
შენ გოლგოთაზე დიდხანს გივლია.

ისევ მოუმატა ხმას, გახედა ჩაბნელებულ კორპუსებს, ზეცას და დასჭექა:



ფეხზე წამოდევ და დაიქუხე,  
ქართლოსიანნო, რა ღროს ძილია...  
სევდის ნისლები მიჰფანტ-მოჰფანტე,  
ამომზიურდე, შენ შეგიძლია...

დადუმდა კაცი, ირგვლივ სა-  
მარისებულრი სიჩუმე იწვა. –  
ეჰ, მაინც ვერავინ გავაღვიძეო, –  
გაიფიქრა კაცმა, მაგრამ უცბად  
ტაშის ხმა შემოესმა. ჯერ  
კანტი-კუნტად, მერე კი – მქუხ-  
არედ. ახელა ზეცას, იღიმებოდა  
მთვარე და ტაშს უკრავდნენ  
ვარსკვლავები. ზეცამ მიმიღო,  
გადაირია კაცი, მუხლებზე დაე-  
მხო, გადაიწერა პირჯვარი და  
შეჰლაღადა:

– უფალო, იესეო ქრისტე,  
ბეო ღვთისაო, შემეწყალე მე,  
ცოდვილი. მაღლობა, უფალო,  
გაჩენისთვის. ამ სამყაროს  
ხილვისთვის, სიცოცხლისთვის,  
ყოველი ღღისთვის, ყოველი  
წამისთვის, განსაცდელისთვის,  
ტკივილისათვის, ყოველივე მი-  
წიერისთვის და სიყვარულისთ-

ვის. დიდება შენს სახელს, ქრისტიანი კაცი ხომ ღვინით ეზიარება შენს ჭეშმარიტებას ღვინით და პურით. გმადლობ, უფალო, ასეთი ქვეყნისათვის, ასეთი ხალხისათვის. მაპატიე, მე, უბრალო ცოდვილს, მოკვდავს, თუ ჩემი მწიკვლი ბაგით ისე ვერ ვთქვი, როგორც შენს დიდებას ეკადრება, კიდევ ერთხელ მაპატიე, დიდება შენს სულგრძელობას.

დაჩოქილმა კაცმა ისევ ახედა ზეცას, პირჯვარი გადაიწერა და მიწას ეამბორა. წამოდგა ფეხზე. შეეოვნდა. ძალუმაღ შეისუნთქა შემოდგომის ცივი ჰაერი და გზას გაუყვა.

კაცი დაფიქრებული და მღუმარედ მიუყვებოდა გზას, მის სხეულში მბორგავი ბახუსის ჭინკები კი მოსვენებას არ აძლევდნენ გონებას.

ღიმილი გაუკრთა ისევ კაცს. თვალები მოჭუტა. სვლა შეაჩერა და მთვარეს შეეხმინა:

– მგონი, ხვდები რაღაცებს, ჩემო ძმაო და მეგობარო, დღეის შემდეგ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიქნებით. ასე გახსნილად მე ჯერ არავისთან მისაუბრია და შენი ყურის გდებაც და ხანდახან გამხნევებაც, ბიძგი გულახდილობისაკენ, ჩვენი მეგობრობის საწინდრად ჩავთვალე. რომ იცოდე, ის ლექსიც შენ წაგიკითხე პირველად. მართალია, ბევრი არაფერია, ამას შენც მიხვდი, მაგრამ ტაშით მაინც დამაჯილოვეთ. ვიცი,

გამხნეების იყო ის ტაში, შენ გულწრფელობა და სიალალე უფრო მოგეწონა. ჩვენ ხომ არავის ვეჯობრებით, ჩემო მეგობარო, ლექსის შესახებაც მარტო ჩვენ ვიცით, მე და ზეცამ.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ კაცმა ისევ მხიარულ კილოზე განაგრძო. — ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც მებრალები, — მგონი ჩემს მეტი არც მეგობარი გყავს. არ ვიცი, მანდ როგორი მეგობრობა იციან. აქ კი... იცი, რა სუფრიდან მოვდივარ? იცი, რა მოლხენა ვიცით ქართველებმა? რა იცი შენ. შეიძლება, ცალი თვალით შემოგიჭყეტია, მერე შეგრცხვებოდა და თვალს მოარიდებდი, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი. ვიცი მე შენი სიმორცხვის ამბავი. წელან როგორ გაწითლდი. აწი მე ვიცოდე. აუცილებლად წაგიყვან ჩემს ძმებთან. ჩემს მეგობრებთან მოსალხენად. დროს რა ვუთხრა, თორემ მეგობარი როგორ უნდა გენატრებოდეს. გაგონილი გექნება შენ, „ხანმა უნდობარმაო“, ის დროა ახლა, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ. მეგობარს ყოველდღე უნდა ნახულობდე. ეხმარებოდე. მისი ტკივილით თუ სინარულით უნდა ცხოვრობდე. გვერდში უნდა ედგე ჭირსა თუ ლხინში. ესაა მეგობრობა. ღვინოზე ხომ გელაპარაკე, ღვთიური სასმელია, მაგრამ მეგობარი მარტო ქეიფში ხომ არ უნდა გახსენდებოდეს, მარტო ქეიფში ხომ

არ უნდა ეფერებოდე? არ მწამს მე ღვინისმიერი მეგობრობა. მიგდებ ყურს, ხომ? დარწმუნებული ვარ, ჩვენ მაგარი მეგობრები ვიქნებით. ისე რავა მოვკვდები, ერთი თუ არ დაგათვრე. რაო, გელიძება? არ გეხუმრები, აბა, შე კაცო, სულ მე ვლაპარაკობ, შენ კი ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს. ჰო, ჰო, მიგიხვდი. მიგიხვდი, ძნელია ნასვამ კაცთან საუბარი, მაგრამ მოსმენა რომ შეგიძლია, დიდი კულტურაა ეგ, ძმაო!

სუფრაზე მოგახსენებდი და ჩემს მეგობრებზე. მადროვე ცოტა ხანს და ყველას გაგაცნობ. არ გაგიკვირდეს, იცის ასე ღვინომ აზრების შემოსევა. ჩვენთან, აქ, დედამიწაზე იციან თქმა, ღვინო ჭურებს ხეთქავსო და კაცს რას უზამსო? აბა, რა გეგონა შენ, ჭკუით უნდა მოხმარება. ზომიერებაა საჭირო. ჰა, ჰა, ჰა, — ჩაიქირქილა კაცმა, — ზომიერება, რომლის დაცვა ასე გვიჭირს ქართველებს, განა მართო ღვინოში, ყველაფერში. მოქნევა, გაგიხარია, ვიცით, მაგრამ ხშირად გადავყოლილვართ ხოლმე მოქნეულს, ასეც იყო.

ნამეტნავად მომერია, მგონი, ეს დალოცვილი, ნამდვილად დავთვერი, ვერ იქნა და ვერ ჩავათავე დაწყებული. — კაცი ცოტა ხნით შეყოვნდა, ახედა ზეცას და დამორცხვებულმა განაგრძო. - თუ მეგობრები ვართ, მეგობრები ვიყოთ ბოლომდე და დღეიდან ბატონობით ნულა მივმართავთ ერთმა-

ნეთს, ჩვენთან, აქ, უბატონოდ, პირდაპირ სახელით მიმართვა მეგობრობის ნიშანია. შევთანხმდით, ხომ, აგაშენა ღმერთმა. ჩემო მთვარევ, სუფრას თამადა უნდა ჰყავდეს, ასეთია აქაური წესი. — კაცმა ჩუმად ისევ ჩაიქირქილა, — მაგის გასაჭირი ნამდვილად არ გვაქვს. ქვეყნის თამალების გაჭირვება კი საგრძნობია. ჩემო მთვარევ, ისევ გამექცა სიტყვები, ნამეტნავად ძნელი დასაურვებელია ნასმურევზე. ჩვენს სუფრასაც ჰყავდა თამადა, ერთი გამხმარი, ცხვირკაუჭა, ორბივით მომზირალი, ენაკვიმატი და ენაწყლიანი. რა არ თქვა, კინალამ იტირა და ჩვენც ლამის გვატირა. განსაკუთრებით, სამშობლოს სადღეგრძელოზე ითქვა ბევრი. ქართველები, რომ იცოდენ, ჩემო მეგობარო, სამშობლოზე თავგადაკლული ხალხია, ძალა არ არის მათი მშობლიური მიწიდან მოწყვეტისა. არადა, ვინ არ ცდილობდა. ქრისტეს აქეთ ორი ათასი წელი. ქრისტეს იქით კიდევ რამდენი ათასი. დედამიწის რომელი მპყრობელი არ დაგვსხმია თავს. რა სატანჯველი არ მოუვლენია ჩვენთვის. გვაწიოკებდნენ, გვწვაოდნენ, ვაზს გვიჩეხავდნენ — იცოდნენ მტარვალებმა მისი ფასი. სამშობლოდან გვერეკებოდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგვაკლეს. ქართველი უსაქართველოდ არაფერია. ამ მიწიდან ღებულობს იგი ისეთ საზრდოს, ისეთ მადლს, დედამიწის სხვა



ვერცერთი კუთხე რომ ვერ მისცემს. ამიტომ არ ტოვებენ ჩემი თანამემამულეები ამ ღვთის კურთხეულ მიწას. აქ ყველანი მეფეები არიან. იქ კი უჯარისკაცო გენერლები. დროებით წასულებსაც კი საშინელი ნოსტალგია ტანჯავთ. და იცით, პირველყოვლისა, რას აკეთებენ, რომ ჩამოდიან? შენ რა იცი მიწის ყადრი, შენ რა იცი, რაა განშორების ტკივილი. სულ ერთ ადგილზე ბრუნავ, არ გეწყინოს, ამას რომ გეუბნები, ქართველი ჩამოსვლისთანავე ჯერ მიწას ეამბორება, მერე დედას და მერე ყველა დანარჩენს. დედა და სამშობლო, დედა და მიწა ქართველისათვის თითქმის ერთი და იგივე ცნებებია. ამიტომაც უწოდებენ დედასამშობლოს დედამიწას. ყველაზე მეტი დრო ამ სადღეგრძელომ წაიღო. სასმისს არ იკითხავ ახლა? დრო მოვიდა, ჩემო კეთილო მნათობო, წარმოგიდგინო ჩემი მეგობრები, რომლებიც უსათუოდ შენი მეგობრებიც გახდებიან. ოჯახის უფროსი თემური, რომელსაც მეგობრები სიყვარულით თოვლის ბაბუას ვეძახით. დალოცვილი, ყოველი ახალი წლის დამეს კახური ღვინით ხელდამშვენებული ჩამოგვირბენს ხოლმე. ხომ ხვდები, რა აკეთებინებს ამას, ძმაო, ჰო, დიდი სიყვარული და უზომოდ კეთილი გული. კახელია და იუმორიც საოცრად მარილიანი აქვს. სასმისზე გელაპარაკებოდი - თემურმა გლობუსი გადახსნა

შუაზე. გლობუსი ხომ იცი, რაც არის, ჰოდა, ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი თამადას მისცა, ჰო, იმ ცხვირკაუჭას, მეორე – მის მოადგილეს და ამ სასმისით შეისვა სამშობლოს სადღეგრძელო. გლობუსი სიმბოლოა, ჩემო მეგობარო. ჩვენი სამშობლოს თამალობით მთელი დედამიწის სადღეგრძელო ითქვა. ჩვენისთანა უცნაური ხალხი მთელს დედამიწაზე არ მოიპოვება, ხომ გჯერა? სადღეგრძელო ყველამ შესვა, კიდევ ვიძეორებ, ამ სადღეგრძელოს ქართულ სუფრაზე ყველა სვამს უკლებლივ – ეს დაუწერელი კანონია. და მერე უნდა გენახა შენ, რა სითბო და სიყვარული დატრიალდა, რა ვაჟკაცები ისხდნენ სუფრასთან. თემურზე უკვე გითხარი. ახლა ვანელი უნდა გაგაცნო – გია-გიორგი – ორმეტრიანი ბეჭბრტყელი და მხრებგანიერი ვაჟკაცი. გლობუსის დაღვევის შემდეგ სულ ასე გაიძახოდა – ჩვენს ხუტუნს გაუმარჯოსო, ესე იგი, ჩვენს სიყვარულსო. ახლა ზესტაფონელ მალხაზს არ იკითხავ! სტუმარზე თავგადაკლული კაცი, რომელიც შენი გულისათვის ერბო-კვერცხს შეიწვავს ხელის გულზე. სხვა ბიჭები – ერთიძეორეზე უკეთესები. ჯამღეთი, ხომ იცი, კარგად მღერის-მეთქი, სადაც გაივლის, იმის ნაფეხურებზე ყვავილები ამოდის. სოხუმელი სოსო – ბედის უკუღმართობით საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად

ქცეული, თავის ეზო-კუთხე-კუნჭულზე რომ აბოდებს ყოველჟამს. გალელი თამაზი – ისიც ლტოლვილი, ნამეტანი სერიოზულია, კანონის კაცია. აბა, მხოლოდ გალაკტიონის „მერის“ კითხვის დროს ავიწყდება კანონი და სამართალი. ნიკო, ჩემო ბატონო, სიყვარულის კაცი – გაჭირვების ტალკვესი. ერთი სიმღერა აქვს ამოჩემებული, მომადგება ხოლმე და სულ იმას მამღერებს. წაგიმღერებ ახლა „წავალ და გაგიფრინდები“... ამირანი, – ძირძველი თბილისელი, კოლორიტი და ბოჰემა ქალაქისა. ქალაქური მელოდების უბადლო შემსრულებელი, შნოიანი კაცი. ახლა ქალბატონებს არ იკითხავ! ერთს გამოვყოფ განსაკუთრებით – ქალბატონი დინა – ჩვენი გიორგის მეუღლე, ჩვენი დადნაფიცია, ქალური მშვენიერებისა და სინაზის განსახიერება. მთელი უბნის, ჰა, ვიტყვი რა, მეც, უბანი რას მიქვია, მთელი ქვეყნის მშვენება, სათნო, კეთილი, კდემამოსილი ქალბატონი. მთელი საქართველო იყო იქ შეკრებილი, ჩემო ძმაო. ხომ ხედავ, რა ხალხი, რა ვაჟკაცები ტრიალებდნენ ჩემს გარშემო. არაფრით არ არიან იმათზე ნაკლები, დიდ დავითს რომ ეხვია დიდგორში. გახსოვს! რა სიტყვები თქვა გადამწყვეტი ბრძოლის წინ! შენ უნდა გახსოვდეს, ძმაო, შენი ხნის ქვა აღარ აგდია აქ, ჩვენთან. მეგობარი რომ ხარ, იმიტომ

გელაპარაკები ასე – შინაურულად, თუ არა სხვანაირი ლაპარაკიც ვიცი მე. სმენა იყოს, დავითი ლაპარაკობს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის რჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“... ასეა ღღესაც. ტანში მაჟრჟოლებს ამ სიტყვებზე და ცრემლიც მომაწვება ხოლმე. ნეტავი გამოჩნდებოდეს კიდევ ერთხელ დავითი. ნეტავი კიდევ ერთხელ გვეტყოდეს ვინმე ასეთ სიტყვებს. ხალხი კი მზად არის, დაუჩოქოს და შეჰკლადლოს. გაგვიძეხ წინ, დიდო სარდალო, გვიყმე და გვამსახურე სამშობლოს. ჩემო მეგობარო, მომიტევე, თუ ნალველიც შეეპარა ჩემს ხმას. რა ვქნა, უზომოდ მიყვარს ჩემი დაბნეული ქვეყანა. მაგრამ გვეყოფა. მე იქიდან იმოდენა სიყვარული მომაქვს, არათუ ჩემს ქვეყანას, შენც კი გაგათბობს, ჩემო ცივო მეგობარო.

კაცი შეჩერდა, კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული. მთვარეც ელოდა, ელოდა მოუთმენლად...

თავჩალუნულმა კაცმა ხელუკუღმა თვალში ხელი ამოისვა და ალაპარაკდა. ალაპარაკდა ოდნავ ხმაგაბზარული:

– ჩემო მთვარევ, არაა დიდი სირცხვილი, თუ

როგორც წვეთად ქცეული ცის ნამი გასხლტება  
პაწაწა ფოთოლზე – ვაჟკაცის თვალსაც მო-  
სწყდეს ობოლი კურცხალი. მაგრამ ეს მარტო  
სევდის, უიმედობის ცრემლი როდია, მარტო  
წარსულს კი არ მივსტირი, არამედ სიხარული-  
საც. და იცი, რა მიხარია, აბა, თუ მიხვდები? ნუ  
დაიბნევი ისევ, შე კაცო. არწივის მზერა გაქვს,  
შე დალოცვილო და ვერაფერს ამჩნევ?! ამჩნევ  
და შენც გიხარია. გატყობ, რომ გიხარია. ჩუმად  
გიხარია, უთქმელად ვხვდები მე, განა ვერ ვხ-  
ვდები? შენი ფხიზელი თვალი კარგად ხედავს,  
რომ არსად დედამიწის ზურგზე დღეს იმდენი  
ღვთის სახლი არ შენდება, რამდენიც ჩვენთან.  
ერთიმეორეზე უკეთესები, კელაპტრებივით გა-  
ბრწყინებულნი. ამდენი მლოცველიც მსოფლიოს  
არცერთ კუთხეში არ არის. ეს შენც გიხარია  
ჩემსავით. გიხარია ჩემსავით, ჩემო მეგობარო და  
ხვდები – ეს საქართველოს უკვდავებაა, ხვდები,  
რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია.  
მოიცა, მოიცა – შეყოვნდა კაცი და ისევ შეჩერდა,  
შეხედა მთვარეს და კიდევ ერთი კურცხალი  
ჩამოეკიდა ლაწვზე, – ჩემო მეგობარო! შენც  
აგიწყლიანდა თვალი?

კაცი ღაწვზე დაკიდებულ წვეთში კისკასობდა მოჭეპილი ცარგვალი.

გულაჩვილებულმა, გალურსულმა მთვარემ სხივებით მოუმშრალა დანამული ღაწვები მხრებჩამოყრილ კაცს და ბეჭებზე ოღნავ უბიძგა.

კაცი ისევ გაუდგა გზას, მიდიოდა მღუმარედ, ხან ხელებს გაასავსავებდა, ხან თავს გადაიქნევდა, ხან ისევ სახელიმილიანი ზეცას ახედავდა. მთვარე კი, რომელსაც სიფითრე მოსდებოდა, უხმოდ ემშვიდობებოდა ახლადშეძენილ მეგობარს და საბრძანებელს მის უდიდებულესობას მზეს უთმობდა.

კაცი კი მიდიოდა...









შემოდგომას ფერთა შეჯიბრი გაემართა. ერთ აუწერელი ფერთა გრადაცია თვალს ახარებდა, გულს ახალისებდა. აღტაცებულსა და გრძნობამორეულს თავს გახრევენებდა შემოქმედის სიდიადის წინაშე. ჭირდა გარჩევა, რომელი ფერი სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა. ლურჯი და მწვანე გახუნებულ იყვნენ. უფრო წითელი, შინდისფერი და ყვითელი ყელყელაობდნენ. ყელყელაობდნენ და სევდამორეულნი გარდაუვალის მოლოდინში გარინდებულიყვნენ. ხეთა ყოველი გატოკება ფოთლებს ჟრუანტელივით უვლიდა ტანში. ყოველი ამოსუნთქვა სიკვდილის ტოლფასი გამხდარიყო. ხან ერთი მოწყდებოდა, ხან მეორე და მარადისობაში გადასული, ფარფატით ეფინებოდნენ ეზოებს. შესაშურად ლამაზად კვდებოდნენ ფოთლები.

გადაჰყურებდა ყელშეხვეული თორნიკე ეზოს და ვერც ფერთა შეჯიბრს ამჩნევდა და ვერც ფოთოლთა სიკვდილს. მისი თვალი ფეხბურთის მოედანს არ სცილდებოდა, სადაც ბიჭები გამალებული დასდევდნენ ბურთს.

– ნეტავი მაგათ, – ამოიოხრა თორნიკემ და გუნებაში უსიტყვოდ გააგრძელა.

არ მომკლა, კაცო, ეს გლანდებია, თუ რაღაც უბე-

დურება! გაიქცევი, აგიწევს სიცხე, ნაყინს შეჭამ, – ისევ სიცხე, იყვირებ – სიცხე, იმღერებ – სიცხე. გავთავდი კაცი, მეტი აღარ შემიძლია. რაც არის, არის – ავღებები და მეც ამოვიჭრი. ჰმ, ამოვიჭრი, – ფიქრი შეაჩერა თორნიკემ, – მერე ისევ დასხლეტილ ფიქრს აედევნა – სათქმელად ადვილია, მაგრამ მეშინია, როგორია ყელში დანა. თითის გაჭრაზე ვაქცევ ქვეყანას და ყელი, ძმაო, ხუმრობა ამბავი ხომ არ გგონია.

– აბა, იჯექი ფანჯარასთან, უყურე, სხვები როგორ ერთობიან. შენც იტყვი, რა, კაცი ვარო, რამდენმა გოგონამ ამოიჭრა და ვითომ არაფერი. იძახიან, სულ არაფერი მტკენია, ვერაფერს ვერ გაიგებო. იტყუებიან. როგორ ვერ გაიგებ, ყელში დანას გისვამენ და ვერაფერს გაიგებ? ყელი, დანა, მაკრატელი, არ გეტკინებაო, მიჰქარავენ, ეჰ, აღარ ვიცი, რა ვქნა...

მზით გასხვივოსნებულ შემოდგომის ერთ ლამაზ დილას, როცა ცარგვალი სილაჟვარდემი იძირებოდა და სასაუზმოდ გამოსული ბელურების ჟიფიფის საზღვარი არ ჰქონდა, თორნიკე მშობლებმა ყელ-ყურის კლინიკაში მიიყვანეს.

თორნიკეს მამა, ბატონი ნიკო, ექიმის კაბინეტში შევიდა. თორნიკე და დედამისი, ქალბატონი იზო, დერეფანში სკამზე ჩამოსხდნენ. ექიმს სხვებიც ელოდებოდნენ. თორნიკე წამოღგა და კედელზე გაკრულ პლაკატებს დაუწყყო უგულოდ თვალიერება. პლაკატებზე ადამიანის ორგანოები იყო გამოსახული სხვადასხვა ჭრილში. კაბინეტის კარი გაიღო და ბატონი ნიკოც გამოვიდა.

– თორნიკე

– დიახ, მამა...

– ერთი წუთით მოდი...

კაბინეტიდან ექიმიც გამოვიდა.

– ბატონო გივი, ეს არის ჩემი ვაჟი. ექიმმა თორნიკეს თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა და ღიმილით ჰკითხა: ერთი შენი სახელი გამახსენეო, ვითომ იცოდა და დაავიწყდა.

– თორნიკე.

– ხომ არ გეშინია, თორნიკე? ისე, შენი სახელის პატრონს რისი უნდა ეშინოდეს. ჰა,რას იტყვი, ბატონო ნიკო, ვაჟკაცია უკვე, რისი უნდა ეშინოდეს?!

ბატონმა ნიკომ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

თორნიკეს არ მოეწონა თეთრხალათიანი, მრგვალსარკეწამოცმული ექიმი. ცივად მომზირალ სარკეს თვალი აარიდა, უსიამოდ გააჟრჟოლა.

– ბატონო ნიკო, თუ გსურთ, პირველს გავუკეთებ.

– ჰა,რას იზამ, შეხვალ, თორნიკე?

– არა, მამა, ჯერ სხვა შევიდეს...

– ბატონო გივი, ჯერ სხვაო, მგონი, დამფრთხალია, - აიწურა ბატონი ნიკო.

– კარგი, იყოს ჯერ სხვა...

ექიმი საოპერაციოში შევიდა. საოპერაციოდან კი ექთანნი გამოვიდა, ქალბატონი მარინე. იგი ბატონი ნიკოს ოჯახის შორეული ნათსავი იყო. მისი მეცადინეობით გადაწყდა ოპერაციის ამ კლინიკაში გაკეთება.



ძალიან აქებდა ექიმს – ოქროს ხელები აქვსო.

– თორნიკე, თავი არ მომჭრა ახლა. ორი დღეა, შენი ქების მეტი არაფერი მიკეთებია ექიმთან. ხედავ, რამდენი გოგონა დგას რიგში? არ გაჯობონ.

თორნიკე ხმას არ იღებდა, გულში კი გაიფიქრა, ამათ რა ენაღვლებათ, ერთი თვითონ იყვნენ ჩემს ადგილას, დარიგებაზე ადვილი რაღაა.

საოპერაციოში პირველი პაციენტი შეიყვანეს – კიკინებიანი გოგონა. ნახევარი საათის შემდეგ – მეორეც. თორნიკეს ჯერიც დადგა. შევიდა. ქალბატონმა მარინემ თორნიკე სავარძელში ჩასვა. გაქათქათებული ხალათის გულისპირი შეისწორა და თორნიკეს მიმართა:

– ხომ ხედავ, თორნიკე, საშიში არაფერია. ორ გოგონას უკვე გაუუკეთეთ ოპერაცია, ხმაც არ ამოუღიათ.

თორნიკეს ყელში ამოუვიდა ამდენი მზრუნველობა, ენაგადაყლაპულივით იჯდა სავარძელში და იქვე ახლოს მდგარ პატარა, ბორბლებიან მაგიდაზე დაწყობილ სამდიცინო ინსტრუმენტებს ათვალეირებდა. ნეტავ, რომლით უნდა ამომჭრან? შეამცივნა, გულარძნილმა ინსტრუმენტებს თვალი აარიდა.

ფანჯრიდან შემოსული მზის სხივების ჭავლი ირიბად ეცემოდა თორნიკეს ფეხებთან...

– აბა, ყმაწვილო, მოემზადეთ – ღიმილით მიმართა ბატონმა გვიმ. შიში გამოიგდებოდა სხეულიდან, დამერწმუნე, ვერაფერს გაიგებ, ხიჭვი არ შეგსობია, შე კაი კაცო? ჰოდა, ეგ არის სულ, – ერთი პწკენა და მორჩა.

ხიჭვის ხსენებაზე თორნიკეს ტანში დაბურძგლა. ბატონმა გვიმ თვალთ ქალბატონ მარინეს სავარძლის უკან ჩამოკიდებულ თოკზე მიანიშნა.

– არა, არ დაგვჭირდება, ბატონო გვიმ, – თავი გააქნია ქალბატონმა მარინემ.

თორნიკეს ექიმმა პირი დააღებინა და ყელში რაღაც სითხე შეასხურა. სითხემ პაციენტს ყელი გაუცივა და ნერწყვის ყლაპვა გაუძნელა – თითქოს შეუშუპდა კიდეც. მერე, საკმაოდ მოზრდილი შპრიცით თავწა-ტეხილი ამპულიდან წამლის ამოსრუტვა დაიწყო. სტვენა-კრუსუნით გააცილა ამპულამ უკანასკნელი წვეთი. დასტაქარმა სავსე შპრიცი ზე ასწია, შუქზე გახელა და დგუმის მიწოლით ჰაერი გამოდევნა. თორნიკე გაფაციცებით ადევნებდა თვალს ექიმის ყოველ მოძრაობას, სიმწრის ოფლში იხარშებოდა.

ექიმი კი საქმიანობდა, მოხერხებულად მიემარჯვა თორნიკეს და დაფჩენილ პირში გლანდის ძირას ნემსი შეურჭო, – სავსე შპრიცი დაიცალა. ჩხვლეტიასას თორნიკემ თითები მომუჭნა და დაიძაგრა. არც ისე ეტკინა. ცოტა ხანში იგივე პროცედურა მეორე გლანდზე ჩაუტარეს – თითქმის არ სტკენია. ყელი ფეხსაცმლის ძირივით გაუხდა. ველარაფერს გრძნობდა. მარინე თავს დასტრიალებდა თორნიკეს და ამხნევებდა – ხედავ, რა უმტკივნეულოა, მენ კი გემინოდაო.

ამასობაში კი ბატონი გივი რომელიღაც ინსტრუმენტით გლანდს მისწვდა, მოუჭირა, ამოსწია. თორნიკემ თავი წამოაყოლა, გააფრთხილეს, თავი დაიჭირეო, კიდეც ამოსწია და ამოიღო. ამ ავლადიდებას გვამადლიდი, შეკაი კაცო?

თორნიკემ წაუყრუა ნათქვამს. პირველი გლანდის ამოღების შემდეგ ცოტა დამშვიდდა – შეგრძნებაა უსიამო, თუ არა ტკივილი ბევრი არაფერიო...

ბატონი გივი უკვე ყელიდან ცხვირის არეს ასუფთავებდა. მაშის მაგვარი ინსტრუმენტით ცხვირის ღრუში ხორცმეტს მისწვდა, მოსწია, მოსწია და დასაკლავი ხარივით იბლავლა თორნიკემ, – ტკივილმა

ტვინიდან ფეხის ძირამდე გაატანა, ექიმს ხელიდან დაუსხლტა და სავარძლიდან წამოვარდა.

– მიშველეთ!.. მკლავენ! – ბლალა თორნიკე და საოპერაციოში დარბოდა.

– ბატონო გივი! ბატონო გივი! არიქა, არ გაგვექცეს. გაოგნებულ ექიმს სარკე შუბლიდან ცხვირზე ჩამოსცურებოდა. ექთანის ხმაზე ხელში კაუჭისმაგვარი ინსტრუმენტით კარებთან დადგა და საბრძოლო პოზიცია დაიკავა. ქალბატონი მარინე კი წიოკით და ქოქოლით თორნიკეს დასდევდა.

– ეგ არის, არ გეტკინებაო, ეგ არის, არ გეტკინებაო? – ყვიროდა თორნიკე და კუთხიდან კუთხეში პირსისხლიანი სირბილს განაგრძობდა.

ბატონმა გივიმ გასასვლელი კარები გასაღებით ჩაკეტა და ქალბატონ მარინესთან ერთად თორნიკე კუთხეში მიიმწყვდია. დაუსხლტა თორნიკე და ფანჯრის რაფაზე ახტა. თან ბლალა:

– მიშველეთ!.. მკლავენ!..

– მიშველე, მარინე, არ გადახტეს ეს დამთხვეული, არ დაგვლუპოს, მოგვჭრა თავი, ეს ვინ ყოფილა, კაცო. გაგვიქცევს პაციენტებს, ფეხი დაუჭირე, ფეხი, - თუხ-თუხებდა არაქათგამოცლილი ბატონი გივი.

როგორც იქნა, შეიპყრეს, – ხელები გადაუგრიხეს და დასაკლავი ცხვარივით სავარძლისკენ წაათრიეს.





თორნიკე კი ისევ ბლოდა:

– ეგ არის, ქალო, არ გეტკინებაო?..

– ვინ არის შენი ქალი, შე ტუტუცო, – ალიყური გააწნა აფორიაქებულმა და თმაგაწეწილმა ქალბატონმა მარინემ. მეორე ლოყას ბატონი გივი მისწვდა. როგორც იქნა, თორნიკე სავარძელში ჩაჩურთეს, ხელ-ფეხი გაუკოჭეს, თავიც კი მიუბეს სავარძელზე...

ბატონმა გივიმ რის ვაი-ვაგლანით ოპერაცია ჩაამთავრა და მომჩვარული და დაოსებული თორნიკე საოპერაციოდან გამოაცილა.

ლოდინით დატანჯული მშობლები შეიღს მიეყვავილნენ.


– ვაჟკაცი გყოლია, ბატონო ნიკო, ვაჟკაცი – ძლივს ამომარცვლა სახეარეულმა ბატონმა გივიმ და თავჩაღუნული ისევ საოპერაციოში შევიდა.

პალატაში საწოლზე პირქვედამსობილი თორნიკე კი წუთ-წუთ ამოიბღავლებდა ხოლმე:

– ეგ არის, ქალო, არ გეტკინებაო, ეგ არის, არ გეტკინებაო?..







# ფრთხილება





პეტრე უცნაურმა ლულუნის ხმამ გამოაღვიძა. თვალები მოიფშვნიტა, საწოლზე ჩამოჯდა. მერე ერთი ძალუძად დაამთქნარა, აჩეჩილი თმები თითებით უკან გადაივარცხნა და გაირინდა. მოფხიზლებული ფეხზე წამოდგა და ზმორებით აივანს მიაშურა. სისხამი დილა იყო. დილის გრილმა ნიაჰმა ძილის ნაბადი შორს მოასროლინა და საბოლოოდ გამოაფხიზლა.

აღმოსავლეთი ვარდისფრად იწვოდა, ცოტაც და მზეც ამოიწვერებოდა. ისევ ლულუნმა მიიქცია მისი ყუარდლება, უკვე თავს ზემოთ. ზურგისკენ შემობრუნდა და თავზე გადმოძნობილი მეზობლის აივნის ძირს შეაქქერდა. აივნის კუთხეში ათასგვარი ხარახურისათვის, რომელსაც ოჯახში ვერასოდეს გამოლევ, ადრე სათავსო გააკეთა, უჯრებად დაყოფილი. ბოლო უჯრის ზემოთ პატარა შეუვსებელი სიცარიელე დარჩა. იმ სიცარიელიდან გადმოშვერილ ერთი ციდა ფიცრის ნაჭერზე ორი უცნაური ფრინველი შენიშნა, — მტრედს წააგავდა — უფრო მომცრო ზომის, მოგრძო ნისკარტითა და საოცრად მოძრავი წერტილივით წითელი თვალებით. ერთ მათგანს ნისკარტით ბალახის ღერო ეჭირა. მეორე — პატარა, მოუხერხებელ ადგილას გაფხორილი, პეტრეს თავზე დასცქეროდა და ლულუნებდა. პეტრეც დაკვირვებით უმზერდა. მერე ულვაშებში ჩაიღიმა, ხელი

გაიწოდა, წელში ოდნავ მოიხარა და ტკბილი ხმით განუცხადა „სტუმარი ღვთისაა, მშვიდობა თქვენს მობრძანებას“. ამის თქმა და ლამაზადღავარცხნილმა თვალწითელა ფრინველებმა ფრთების ტკაცუნით სივრცეს მიაშურეს. „ოო! ნამეტნავად მშიშრები ყოფილან“.

შესანიშნავ გუნებაზე დადგა პეტრე, რამდენიმე ვარჯიშის მსგავსი მოძრაობა გააკეთა, — ხელები გადააჯვარედინა, სახსრები დაჭიმა და ღრმად ამოისუნთქა. გულისყური უცნაურად მოლულუნე ფრინველებისაკენ ჰქონდა. თითქოს რაღაც გაახსენდაო, გამზიარულებული შინ შევიდა და მომცრო ზომის კიბე გამოიტანა. მიადგა სათავსოს, შედგა ფეხი საფეხურზე და სათავსოს ბოლო უჯრის მიღმა შეიჭყიტა. ხის წვრილი ტოტები და ბალახის ღეროები დაუმთავრებელ ბუდეზე მიანშინებდნენ.

„ეჰე, თუ ასე გააგრძელებს, მატებასაც უნდა ველოდოთ. აქ, ამ ვიწრო და მოუხერხებელ ადგილას ძლიან გაუჭირდებათ“. ყმაწვილკაცივით განხალისებული პეტრე სასწრაფოდ ჩამოვიდა კიბიდან.

„როგორც იქნა, როგორც იქნა“...

პეტრეს ბავშვობიდან ოცნებად ჰქონდა გადაქცეული — ჯერ კიდევ სოფლიდან მოყოლებული, — მის სახლზე ჩიტებს ბუდე გაეკეთებინათ. ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა ხოლმე მეზობელი ბავშვების სახლის აივნებზე ჩამომწკრივებულ მერცხლის ბუდეებს. ზოგიერთი „თავხედი“ შინ, ბინაშიც, ნათურის თავზე პაწაწკინტელა ნისკარტით გასაოცარ ჩიტების სახლს გამოაკოპწიებდა ხოლმე. დილიდან დაღამებამდე დასრიალებდნენ მერცხლები ჰაერში, ჭიკჭიკებდნენ საამოდ, ბარტყების დაფრთიანების მზერას ხომ არაფერი სჯობდა, — ფრენის პირველი გაკვეთილები, ჯერ კიდევ სუსტი ფრთების აფრთხილება, გავარდნა სივრცეში,

წარმატებისაგან თავბრუსხვევა და ნეტარების ჭიკჭიკი. გაზაფხულზე ხომ გაუთავებელი ომი ჰქონდათ მათ ბუდეებს დაპატრონებულ ბელურებთან, იყო ერთი გაწევა-გამოწევა. ბავშვობიდანვე გახდა პეტრესთვის ცხადი, რომ ძალზე ძნელია ან თითქმის შეუძლებელია მიტოვებულის უკან დაბრუნება და ხელმეორედ დასაკუთრება. წუხდა პეტრე და ამ წუხილს ბაბუასაც უზიარებდა ხოლმე.

ბაბუა კი ეუბნებოდა:

– შვილო, თუ მერცხლები სახლს უსაფრთხოდ არ ჩათვლიან, ისე იქ ბუდეს არ გაიკეთებენ. გონიერი და ალლოიანი ფრინველია მერცხალი. ჩვენი სახლი დაბალია, ქარის მხარეზეა, თანაც მსუნავი კატა გვყავს და იქვე მზის გულზე მონებივრე ფისოზე მიუთითა, რომელიც მოჭუტული, მიბნედილი თვალებიდან იმზირებოდა უღვაშების ცმაცუნით, თითქოს კვერს უკრავდა ნათქვამს, რას იზამ, ასეთია ჩემი ბუნებაო.

მერცხლებისაგან დაწუნებული სახლის გამო პეტრე თავს იმით იმშვიდებდა ხოლმე, რომ გავიზრდები, უსათუოდ დიდ სახლს ავაშენებ და კატაც ვერაფერს დამაკლებსო.

„ხომ მაინც მეწვნივნენ, რა ვუყოთ, რომ მერცხლები არ არიან და არც ჭიკჭიკებენ, ლულუნიც სასიამოვნო მოსასმენია, მე ვიცოდე მაგათი პატივისცემა, როგორ გამახალისეს ამ დალოცვილებმა“.

მზე ჰორიზონტზე ეკიდა და იწვოდა. აგუგუნებული, აყაყანებული ქალაქი ისტორიის მორიგ ფურცელს შლიდა.



აცუნდრუკებულ-ამჩატებულმა პეტრემ ბავშვებს მიახარა:

– უცნაური ჩიტები გვეწვია, თან თხოვნით მოგვმართეს, თქვენი სახლის აივნის ერთ პატარა მონაკვეთზე სახლის აგება გადავწყვიტეთ და წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო?

– აბა, სახლი? – იკითხა ნინიკომ.

– ჯერ მხოლოდ „სადირკველი“ აქვთ ჩაყრილი, – უპასუხა პეტრემ. სალომე უკვე კიბეზე მიცოცავდა და ხელს აფათურებდა სახლის „სადირკველში“.

– მეც მაჩვენეთ, მეც მაჩვენეთ, – წიოკობდა ნინო.

– ეს რა სახლია, მამიკო? – ეს ხომ ბუდეა, – უკვირდა ნინიკოს. სალომემ პეტრეს ხელში ხელი ჩასჭიდა და თავისკენ შემოაბრუნა, ჭორფლიანი ცხვირი აბზიკა, წარბები აზიდა, გრძელი წამწამები ააფახულა და მიმართა:

– ეს, რა სახლია, მამიკო, ერთი ბეწოა. იქ, როგორ იცხოვრებენ, იქიდან გადმოცვივდებიან და დაიღუპებიან. მოდი რა, მამიკო – ყელზე ხელი მიიღო – გეხვეწები, ჩვენ თვითონ ავუშენოთ ფართო და მოხერხებული პატარა სახლი. ღია დერეფნით, საკენკისა და წყლის დასადგმელით – დაამთავრა დაპროექტება სალომემ.

– ესე იგი, ავუშენოთ, არა? – იკითხა ხალისიანად პეტრემ და შუბლზე ჩამოვარდნილი კულული გაუსწორა.

– ავუშენოთ, ავუშენოთ, ხტუნვა-ხტუნვით წამოიდა-ხეს ბავშვებმა.

– აბა, კირითხურონო, მომყევით, წაუძღერა პეტრემ. ყველამ გაინაწილა სამუშაო. ნინომ ჩაქუჩი მოარბენინა, სალომემ ლურსმნები და ხერხი. პეტრემ მოზრდილი ფიცარი ამოათრია ეზოდან და შეუდგნენ საქმეს. – ჩორკნეს, ხერხეს, აჭედეს, დაიკაწრეს ხელები და, როგორც იქნა, სახლიც ააშენეს.



მშენებლებს გული ძალუძად უცემდათ. მოწოლილ სისხლს სასიამოვნოდ აევარდისფერებინა მათი სახეები. ბავშვების უძირო სხივჩამდგარი თვალების ანარეკლი მათ ნახელავს ნათლის გვირგვინივით ადგა.

მშენებლებმა თავიანთი ნახელავი შინ შეიტანეს და შუა ოთახში დადგეს. რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერეს და დასკვნაც გამოიტანეს. შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ფრინველებს სახლი არ მოსწონებოდათ.

პეტრემ სახლი მისთვის მიჩენილ ადგილზე მყარად მიამაგრა, მერე ხელიც შემოჰკრა – შეამოწმა სიმყარე, ოფლიანი შუბლი მოიწმინდა და სახელიმილიანმა შორეთს გახედა. სხვადასხვა სახეობის ფრინველნი ცას სერავდნენ.

„ყველა მათგანს თავის სახლი აქვს, ჩვენებს კი ყველაზე უკეთესი“. ნახელავით კმაყოფილი პეტრე ბავშვებთან ერთად შინ შევიდა, სადაც ოჯახის დიასახლისი კარგა ხანია სადილზე ეპატიჟებოდათ.

– დედიკო! დედიკო! ისეთი კარგი სახლი ავუშენეთ ჩიტებს, მეც დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი. – ალტაცებით წარმოთქვა ნინიკომ.

დედამ კი, რომელიც სამზარეულოში დიდი ხნის საქმიანობით ერთიანად აწითლებულიყო, მშვიდად წარმოთქვა:

– მთავარია, თავად ჩიტებს თუ მოეწონებათ.

– როგორ? – წამოიძახეს ნირწამხდარმა ბავშვებმა და პირი ღია დარჩათ, სახეზე კი ნალვლის ღრუბელმა გადაურბინათ. წამიერად დაეჭვდნენ, მართლა, რომ არ მოეწონოთ? მერე თავი დააჯერეს, ვერავითარ წუნს ვერ დასდებნო. ფიქრებში წასულებმა უგულოდ დაიწყეს სადილობა.

ბავშვების ხასიათის შეცვლით შეცბუნებული დიასახლისი შეეცადა, მათი გუნება-განწყობილება

გამოეკეთებინა. გაღიმებული სახით ბავშვებს ხელი გადახვია, მერე შუბლზე ჩამოყრილი თმები შეისწორა და რიგრიგობით ორივეს ეამბორა:

– რა ღმერთი გაგიწყრათ, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი, რომელი ბუდეთა მშნებელობის მინისტრი მე მნახეთ, ჩემთვის ვთქვი ორიოდე სიტყვა, თქვენ კი მებუტებით, ხომ არ დაგავიწყდათ, დღეს რომ შაბათია, წავიდეთ ეკლესიაში, როცა მოვალთ, ყველაფერი ნათელი იქნება.

ღედის სიტყვებმა ბავშვებს ეჭვის ჩიტები თავიდან გამოუფრინეს, გამხიარულდნენ და მაღიანად შეექცნენ სადილს.

ტაძრიდან მობრუნებულები სახლში შევლისთანავე ფეხაკრეფით, გულისფანცქალით გაეშურნენ ფრინველების ახლადაშენებული სახლისაკენ. არათუ ღულუნნი, ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა. სალომემ მანამ ვერ მოისვენა, სანამ კიბეზე არ აცოცდა – ჩიტის სახლში შეიჭყიტა, მეტი დამაჯერებლობისათვის ხელიც შეჰყო, მოაფათურა და ისეთი თვალებით შეხედა პეტრეს, ატირებას აღარაფერი აკლდა. „ეს რა ხათაბალაში გავეხვიე, კაცო, რა მრჯიდა, ვყოფილიყავი ჩემთვის, რომელი „ჩიტმცოდნეობის“ პროფესორი მე ვარ, რომ არ მოფრინდნენ?“ გაიფიქრა პეტრემ და სალომეს ხვეწნანარევი ხმით მიმართა:

– ფრთხილად, შვილო, ფეხი არ დაგიცდეს, უბედურებაში არ გამხვიო. აბა, რა განაღვლებს, არ იციან, როგორი სახლი ელოდებათ, ნახავ, მერე როგორ გაიხარებენ.

აწურულები ყველანი შინ შევიდნენ.

პეტრეს ოჯახი ფრთოსან სტუმრებს კარგა ხანს ელოდა, პატარა ჩამიჩუმზეც კი აივანზე გარბოდნენ...

მთვლემარე მზე მთებს მიღმა ჩაიკარგა და ხელი დაიქნია, მომავალ შეხვედრამდეო.



როდის, როდის, პეტრეს ნაცნობი ლულუნი შემოესმა.  
გახარებული ფეხზე წამოვარდა.

– ბავშვებო, ბავშვებო, სტუმრები გვეწვიენ, სტუმრები.  
სულწასულები ყველანი აივანზე გაჩნდნენ.

ჩიტები პეტრეს ნახელავზე ჩამომსხდარიყვნენ და  
ერთმანეთს ელულუნებოდნენ. ერთმა მათგანმა თავის  
ქნევით დერეფანი ლულუნით გაიარ-გამოიარა, თითქოს  
პეტრეს ნახელავს უმოწმებსო, წვრილი თვალებით  
მშენებლები აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე მეწყვილ-  
ესთან მიგოგმანდა, რაღაც ჩაულულუნა და ფრთების  
ტკრციალით სივრცეში შეცურდა, მეწყვილეც მის  
კვალს მიჰყვა.

ისევ დანალვლიანდნენ ბავშვები... მაინც ვერ  
გაერკვიათ, მოიწონეს თუ არა ნახელავი ჩიტებმა.

ჩამოწვა მწუხრი. მრუმე ბინდში ეხვეოდა ვნებ-  
ადამცხრალი ქალაქი. ცაც ვარსკვლავებით მოიჭედა  
და პირსავსე მთვარემ მიბნედილი სხივები უხვად  
მოაფრქვია არემარეს.

ერთი დღის სტუმრები კი უკვალოდ გამქრალი-  
ყვნენ...



# ფიცი





აუტანელი სიცხე ცოტნეს საშველს არ აძლევდა, რამეზე ეფიქრა ან გაეკეთებინა. უაზროდ დაბორი-ალობდა ოთახიდან ოთახში. ხან წიგნს გადაფურცლავდა, ხან ტელევიზორს ჩართავდა. გადაცემებიც უაზრო, გაუთავებელი სროლა, ბათქა-ბუთქი, წივილ-კივილი. უნამსი სცენის გამო ლამის გული აერია. სასწრაფოდ გამორთო ტელევიზორი – „პანდორას ყუთი“. აბაზანაში ცივი წყალი გადაივლო და აივანზე გავიდა. გახედა შორეთს - სივრცეს, მაგრამ სად იყო სივრცე? ახორხლილი, უგემოვნოდ ნაგები, მოუვლელი, ტყუპისცალივით მსგავსი შენობები... საწყალი თვალები.

სახლის წინ, სკოლის ეზოში, მიუხედავად აუტანელი ხვატისა, მოზარდებს ფეხბურთი გაეჩალებინათ. სულ სხვა ასაკი, სულ სხვა შემართება, ენერჯის უღვევი წყარო და ჟინი მისი გამოვლენისა.

– პასი, ბიჭო, ვერ ხედავ, ცარიელში რომ ვარ, პასი! ბოზიშვილი ვიყო, რას მიკეთებ, ხომ არ დაბრმავდი!

– ჩემი დედა... მე უფრო უკეთეს პოზიციაში ვიყავი, თითქმის პირისპირ მეკარესთან.

– მერე რა გააკეთე?

– ბოზიშვილი ვიყო, უკეთესად ვერც შენ გააკეთებდი. გამოძივიდა რა ზიღანი, ჩემი დედა... დაახვიე ახლა...

ასეთი დიალოგის მოსმენის შემდეგ ცოტნე ყურებდასუსხული, დამდურულივით შევარდა შინ. „გადავევარდით, გადავჯიშდით! რა უბედურებაა. ოიდ-იპოსისის სინდრომი. პათოლოგიაა, აბა რა ჯანდაბაა?“.

სახლში გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა. უნდოდა, როგორმე მდგომარეობიდან გამოსულიყო, დაწყნარებულიყო. გადაიცვა და ეზოში გავიდა. „ჩავალ ბაღში, შადრევანთან. სახლთან შედარებით გრილა, იქნებ მეშველოსო“.

გზაზე ახლადწამოჩინებული, ქალიშვილობაში ოდნავ ფეხშედგმული, მუცელმოშვლებილი გოგონების ჯგუფი მოიგრიხებოდა. აპილპილებულნი ცხარედ კამათობდნენ. ერთი – გულზე ჯვარჩამოკიდებული, მხრებზე ჩალისფერთმებდაყრილი, ანგელოზის სახის სადარი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა.



– მაშ არ გჯერათ? არ გჯერათ, ხომ?! – გაწიწმატებულმა და წამოწითლებულმა თვალებში ჩამოჩრილი თმა თავის აქნევით შეისწორა და რალაცნაირი

ქედმაღლობით თუ ნიშნისმოგებით, რაღაც წმინდას, ადრე დედას რომ იფიცებდნენ, წარმოსთქვა, — მამაჩემის ბოზი ვიყო, თუ ვიტყუებოდე!

ყურისძირში სილასავით მოხვდა ნათქვამი ცოტნეს. ფეხი აერია, შებარბაცდა და კინალამ დაეცა. ასეთმა უხამსობამ და უწმაწურობამ თავზარი დასცა.

„დედის სიწმინდემ მოიტანა აუძღვრეველი სული და ერთიანი ქართული სხეული, თავისთავადობა და გამორჩეულობა. ერთ დროს სალოცავი და საფიცარი, ახლა ყველაზე მოღურ სალანძღავ სიტყვად აქციეს. გადაჯიშების გზაშარაზე თავაწყვეტილი მივექანებით... ვაი, საცოდავო საქართველო“. ამოიგმინა აკანკალებულმა და წნევაავარდნილმა ცოტნემ და იქვე გამხმარი ხის ძირას ძელსკამზე ჩამოჯდა. მსხვილი ოფლის წვეთები ღვარად მიედინებოდნენ კისრისაკენ. სიცხეს ველარ გრძნობდა.

— ღმერთო, რა დავაშავეთ ამის ფასი, ღმერთო! რა დღეს შემასწარი, რა ფეხზე ავდექი, — უხმოდ ჩიფ-ჩიფებდა გაოგნებულის ტუჩები.

— ცოტნე, ზღვის მაგიერია? აქვე ირუჯები, თუ პროტესტის ახალი ფორმაა! თავი ხომ არ მოგძულე-ბია ბიჭო, — შეეხმინა ათლეტური აღნაგობის, მხარზე ჩანთაჩამოკიდებული კარის მეზობელი.

ცოტნემ თავი ასწია.

— ტრისტან, შენ ხარ? — გამობლექტილი თვალებით მიაშტერდა მეზობელს ცოტნე.

— შენს თავს ფარსავი არ უნდა იყოს, ექიმს ხომ არ დავუძახო? — შეშფოთდა ტრისტანი.

– არა, არა, ტრისტან, მგონი, წნევამ ამიწია და აქვე ჩამოვვცეკი.

– წნევა ავიწევს ამ გადარეულ სიცხეში, აბა რა იქნება. გადაიხრუკა ყველაფერი, – ბუზღუნით წარმოთქვა ტრისტანმა, თან ოფლიანი სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა.

– ჰე, წამოდექი ახლა, წამოდექი, სახლში წავიდეთ!

– არა, ტრისტან, სახლში ვერ გავჩერდები... ეს წუთია, მოვედი, კარგად ვარ უკვე, შენ ნუ შეწუხდები, აქვე, ბაღში ჩავალ, პატარა შადრევანთან და სულს მოვითქვამ, ფეხზე წამოდგა, შუბლზე ხელმოჩრდილებული, მოცოცხლებული ცოტნე.

– დაფიქრდი, ისე, შენი საქმისა შენ იცი. მე წავედი, – ხელი აუწია და მხრიდან ჩამოცურებული ჩანთის სწორებით შინისაკენ გაემართა ტრისტანი.

ცოტნე ცოტა ხანს კიდევ იდგა ფეხზე, მერე ცხვირსახოცით სახეზე მოინიავა და ბაღისაკენ მიმავალ გზას დაადგა. გული არათანაბრად უცემდა, ხან აუჩქარდებოდა, ხან შეუწუხდებოდა. ჩხრიალა შადრევანი წყლის სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა და გარემოს სიგრილის ბურუსში ხვევდა.

ცოტნემ წყალი რამდენჯერმე შეისხა სახეზე. სველი თითებით თმა უკან გადაივარცხნა, ფართოდ გაშლილი ასწლოვანი ჭადრის ტოტებქვეშ ეულად მდგარ მიბრეცილ ძელსკამზე ჩამოჯდა და გაირინდა. აბეზარმა ბუზმა, რომელიც სახეზე ეტანებოდა,





გამოაფხიზლა, ხელი აიქნია, შეეცადა აქნეულ ხელს მსუსხავი ფიქრებიც გაეყოლებინა. ისევ ჩაიკარგა... თვალები მზის სხივებში მოკისკასე წყლის ჭავლს ეთამაშებოდა, აწმყოს მოწყვეტილი გონება კი წარსულის ლანდებში გაიბნა...

აგვისტოს პაპანაქება თითქოს ამოშრობას უპირებდა ზღვას. სხვადასხვა ჯურის გააღამ-გავევებულებს მთლიანად დაეპყროთ ნაპირი.

„რამდენიც უნდა მაცხუნო, ვერაფერს დამაკლებ, ზომიერება არ იცი, შე კაცო! შენგან გამოქცეულები ჩემს მკლავებში ნებივრობენ, შვებას ჩემთან პოულობენ“, – შეჰღიმოდა ატორტმანებული ზღვა მზეს. ნათქვამის დასტურად ზე აღიმართა, ტალღები შეათამაშა და ნაპირზე უდარდელად წამოწოლილებს წიოკი აატეხინა.

...ზღვიდან ახლადამოსულ ცამეტიოდე წლის ცოტნეს, სოფლის მალაზიის გვერდით კვიპაროსების ჩრდილისათვის შეეფარებინა თავი. ფეხები აქეთ-იქით გაეთხლაშა და წვეტიანი ჯოხით, გამწარებული თუ გაბრაზებული მიწას ჩიჩქნიდა. – მაინც ვიყიდი ველოსიპედს. მაინც ვიყიდი, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც ვიყიდი. ვერაფრით ვერ გავაგებინე მამაჩემს, თუ რას ნიშნავს ახლა ჩემთვის ველოსიპედი. „წიგნებია შენთვის ველოსიპედი, მანქანაც და თვითმფრინავიცო“, – კაცო, წიგნები, ვიცი, რაც არის, მაგრამ ველოსიპედი მაინც ველოსიპედი.

თითქოს ჯიბრზე, მისი გულის გასახეთქად, შხუილით ჩაიქროლეს ველოსიპედზე ამხედრებულმა ბიჭებმა, ზარიც კი დააწკარუნეს. გზა ახალი მოას-



ფალტებულის იყო და არაფერი სჯობდა ახლა ზედ ველოსიპედით ჯირითს.

ბრანძორეულმა ცოტნემ ჯოხი შორს გასტყორცნა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა.

„ან დღეს, ან არასოდეს. ამ საღამოსვე მოველაპარაკები. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ველოსიპედი. ასე ხომ არ უჭირთ!“ მოქუფრულმა ნაღვლიანად გაიხედა მალაზიისკენ, სადაც მისი საოცნებო ველოსიპედი იდგა, — ამოიხვნეშა და გზას გაუდგა.

ცოტნეს მამა ორმოცდახუთიოდე წლის ჯანმგარი, ტანბრვე ვაჟკაცი იყო. თეთრი პირსახის, ლამაზად დაყენებული შავი უღვაშებით. ქართული ცხვირი და არწივისებური მზერა რიდითა და პატივისცემით განგაწყობდა მის მიმართ. ოჯახზე თავგადაკლული, შვილების სპარტანულად აღზრდის მოძრე, სახიერად მკაცრი, ფამილარობის მოძულე, ამასთან, შინაგანად თბილი და კეთილმოსურნე იყო. აღელვებისას ხშირი, შავი წარბები და შუბლის ორი ღარი ტალღასავით აეფოფრებოდა ხოლმე, თვალები მოეწკურებოდა და სახეც უპირქუშდებოდა. ასეთ დროს იშვიათად თუ შეჰბედავდა რამეს მამას.

— ბიჭო, რას ამოგიჩემებია ველოსიპედი, ან რა დამსახურებისათვის უნდა გიყიდო! — გაზეთში თავჩარგული ეკითხებოდა ცოტნეს მამა. პაუზას თავაუწვევლად თვითონვე უპასუხა — მუშტი-კრივისთვის? — მერე გაზეთი შრიალით გადაკეცა და განაგრძო. — დღე არ გავა, შენს მიერ გალახული ბავშვის მშობელი რომ არ მომადგეს. ისე, მაინცდამაინც არც მაგ საქმეში უქნიხარ ღმერთს, — ტუჩზე ირონიული ღიმილი გაუკრთა ცოტნეს მამას. —

შენც კარგი დალილავებული მოდიხარ ხოლმე.

ცოტნეს მამის ღიმილი სასიკეთოდ ენიშნა, საყვედური სარკეზე დაცემული მზის სხივივით აირეკლა და ბუზლუნარევი ხმით შეეცადა სახელიმილიანი მამა თავისი სატკივარისაკენ მოებრუნებინა.

– მამა, უბანში თითქმის ყველას რომ ჰყავს ველოსიპედი!..

– ახალი ამბავი, ჰყავთ და ჰყავდეთ. აღარც სწავლაა მაგათთვის და არც სხვა საქმე, – ცხრა მთას იქით

გადაჰკარგა ღიმილის ნაშთი ცოტნეს მამამ.

„აუჰ, დავიღუპე, აღარ ვიცი, რა მოვუწერხო ამ კაცს“. – გაიფიქრა ცოტნემ, მაგრამ ფარ-ხმალის ბოლომდე დაყრას მაინც არ აპირებდა, უკანასკნელ იმედს ჩაეჭიდა.

– მამა, ხომ კარგად ვსწავლობ?

„გაიზარდა ეს მამამაღლი, ადრე ამ-

დენს ვერ ბედავდა. არც ველოსიპედია ღიმი რამე“, გაიფიქრა ცოტნეს მამამ, მაგრამ...

– შენ რა, სწავლას მამაღლი? – შენი სწავლა შენ არ გამოგადგება? ისე კი, დროა აწი ჭკუა დაატანო ნათქვამს.

ცოტნეს მამამ საუბარი დამთავრებულად ჩათვალა,



ფეხზე წამოდგა, გაზეთი მაგიდაზე დადო და გასასვლელისაკენ გაემართა.

„ფუი, დავლუპე ყველაფერი“, სახსრებში მოიშალა ცოტნე.

მამა კი წუთიერად შეყოვნდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო და ალანძულ ცოტნეს გამომწვევად მიმართა:

– მიდი, შენ თვითონ იყიდე, ხომ თვლი, რომ მაგარი ხარ. იყიდე, თუ ბიჭი ხარ!

– მე ვიყიდო? – ისევ გაელიმა შეცბუნებულ ცოტნეს – როგორ?

– როგორ? იშრომე და იყიდე, – ათასი ეშმაკი აუელვარდა ცოტნეს მამას თვალებში.

– სად, მამა, მე ვინ მაძუშავენს?

– ეგ უკვე შენი საზრუნავია, თუ მართლა გინდა ველოსიპედი, სამუშაოსაც იშოვი.

„ვნახოთ ერთი, რას იზამს, ეგეც შენი პირველი გამოცდა, სხვებიც იქნება, ცხოვრება გამოცდების ჯაჭვია. ღროა უკვე შეეჩვიოს“. – გაიფიქრა მამამ და განაგრძო – ჰო, შენ იყიდე, შენ, შენი ხნის რომ ვიყავი, ჩემს თავს მე თვითონ ვირჩენდი, – ფოლადი გამოურია ცოტნეს მამამ ხმაში.

– კარგი ახლა, მამა, – სითამამე მოემატა ცოტნეს.

– არ გჯერა? ჰკითხე ბებიაშენს და ის გეტყვის.

– კარის ზღურბლს მიახლოებულმა მამამ ცოტნეს კიდევ ერთხელ შეხედა და უთქმელად ეზოში გავიდა.

ცოტნე კარგა ხანს იდგა გარინდებული. მერე რაღაც უეცარი ძალით დამუხტულმა გამოწვევა მიიღო და კარებს მიაძახა:

– დიახაც, მე თვითონ ვიყიდი...

ცოტნეს აღარ გადაუდვია მუშაობის დაწყება. მეორე დღესვე თავს დაადგა ბიძამისს — საგზაო მშენებლობის ინჟინერს. ამოსუნთქვა არ აცალა, არც არაფერი ისმინა. თავი გამოულაყა, სანამ თანხმობა არ მიიღო, ოთახიდან არ გამოსულა.

— ბიჭო, რა გაუჭირდა მამაშენს ისეთი, ერთი ვე-  
ლოსიპედი რომ ვერ გიყიდა?

— განა არ შეუძლია? — იუკადრისა საყვედური  
— მამა მაინც მამაა, მე თვითონ მინდა, გამოვცადო  
თავი, შევძლებ თუ ვერა, — დაიბრძენა თავი ცოტნემ.  
— ბიძია, არ დამიწყო ახლა თავიდან, ხომ ვისაუბრეთ,  
ხომ დამპირდი, სიტყვა სიტყვაა.

— კარგი, კარგი. სიტყვა სიტყვაა.

ყელში სულმიბჯენილი ცოტნე კი ვერ ისვენებდა.

— დღესვე, ბიძია, დღესვე მიმიყვანე მუშებთან ობი-  
ექტზე.

ზაფხულის ხვატი იყო. დედამიწას აღმური ას-  
დიოდა. ყველა სულიერი, სიცხით მოთენთილი, ზანტად  
დაიარებოდა და საჩრდილობლებს აფარებდა თავს.  
ერთადერთნი, ვინც არად დაგიდევდა თაკარა მზის  
მცხუნვარებას, მეასფალტენი იყვნენ.

ბიძამისმა ცოტნე მუშებს წარუდგინა. დღეიდან  
თქვენთან ერთად იმუშავენსო. ყვითელუნიფორმიანმა  
მუშებმა ერთი კი ახედეს წამოყვინჩილებულ ბიჭს, ჩაი-  
ფრუტუნ-ჩაილიმ-ჩაიცინეს და ასფალტის მოლოდინში  
ხის ფართოდ გაშლილ ტოტებს ქვეშ მოკალათდნენ.

მაღე ასფალტით დატვირთული მანქანაც გამოჩნდა.  
მძღლომა საჭირო პოზიცია შეარჩია და ძარა ასწია.  
ახალ ასფალტს ორთქლი ასდიოდა და თავისებურ

სუნს გამოსცემდა. ზეაზიდული ძარიდან ასფალტი რატომღაც არ ეშვებოდა – შენივეთებულიყო. ცოტნემ ნიჩაბს ხელი წამოავლო და ასფალტის გროვას აჰკრა. იხუვლა შენივეთებულმა მასამ, ცოტნემ ძლივს გამოასწრო, მაგრამ ნაწილი ცხელი მასისა ხელებზე გადაეყარა, მუშებმა ატეხეს ხარხარი. მარცხნაჭამი და დარცხვენილი კი იხტიბარს არ იტეხდა – ნიჩაბს ხელს არ უშვებდა.

ულვაშებიანმა, ტარაკანასავით შავმა მუშამ ცოტნეს სერიოზული სახით მიმართა:

– შვილო, ხელებს მიხედე, არ დაგეწვას, ნუ ჩქარობ, მუშაობას მოესწრები.

დამფრთხალი ცოტნეს ბიძა სახეზე ღიმილს ირგებდა, მაინც და მაინც დედაშენს უნდა მოაკვლევინო ჩემი თავიო.

მთელი თვე დადიოდა ცოტნე საგზაოს ბიჭებთან, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ, დაუმეგობრდა კიდევ.

სანატრელი დღეც დადგა – ხელფასის მიღების დღე. ცოტნეს უწყისზე ხელი მოაწერინეს. ასი მანეთი ერგო, წითელი ლენინისთავიანი თუმნიანები.

ცოტნე სიხარულმა ცაში ააფრინა. აღარაფერი ახსოვდა, აღარც საგზაო და აღარც მუშები. ველოსიპედი, მხოლოდ ველოსიპედი ედგა თვალწინ.

აქოშინებული, ოფლში გაწუწული, მალაზიაში შეიჭრა.

– რა იყო, ბიჭო, ხომ არავინ მოგდევს? – გაკვირვებული შეჰყურებდა ღიპიანი ქაჩალი გამყიდველი.

– ველოსიპედს ვყიდულობ, – თავაუღებლად უპა-

სუნა ველოსიპედთან ჩამუხლულმა ცოტნემ.

– მერე ფული?

– თუ ვყიდულობ, ესე იგი, ფულიც მაქვს, – ენა დაიგრძელა ცოტნემ. ხუმრობა ხომ არ იყო, თავისი ფულით ყიდულობდა.

ცოტნემ საფასური გამყიდველს ჩაუთვალა და სანატრელი ველოსიპედი ეზოში გამოიყვანა – ვერცხლისფერი „ხარკოვი“. მერე თავდაყირა დააყენა. ბორბლები დაუმაგრა. შებრუნებული პედლები საჭირო მდგომარეობაში მოიყვანა. ჩვართ საპონი მოაშორა. არავის და არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, ხვითქი გადასდიოდა. ცოტაც და უკვე შემოაჯდებოდა სანატრელ რაშს. წარმოდგენილი ჰქონდა, თუ როგორ შეხვდებოდნენ შინ. ყველაზე მეტად მამის რეაქცია აინტერესებდა. ხომ მაინც მივალწიე ჩემსას, ბოლოს და ბოლოს ხომ ავისრულე ოცნება.

კიდევ ეთხელ შეამოწმა ბორბლები, საჭე. პედლები გაასწორა, საჭეს ხელი ჩასჭიდა და, ის იყო, უნდა შესჯდომოდა, რომ ბიჭის ხმამ შეაჩერა, რომელიც აგერ უკვე თითქმის ერთი საათი უხმოდ შეჰყურებდა ცოტნეს საქმიანობას.

– ძმაცა, შენია?

ცოტნემ გაიხედა, აწოწილი და თავგასიებული ბიჭი დასდგომოდა თავს. ჯიუტი, ქერა, რაღაც საცხით გაპრიალებული თმა უკან გადაეკარცხნა, გაჯიუტებული თმა კი მაინც ყალყზე წამომდგარიყო. მხოლოდ

თვალეbs შეჰქონდათ დისონანსი, ცისფერი წყლიანი თვალეbs საოცარ სითბოს გამოსცემდა.

ცოტნემ თვალი გაუსწორა და მოკლედ უპასუხა:  
– ჩემია.

თავგასიებულმა და ცისფერთვალეbsიანმა ველოსიპედს ახედ-დახედა. მერე საჭეს ხელი შეავლო. ასწია, გაუშვა – საბურავებმა ველოსიპედი რამდენჯერმე აახტუნა, – კარგი დაბერილია, – წარმოთქვა პროფესიონალის პრეტენზიულობით და შემოწმება დაამთავრა.

– შენ აქვე არ ცხოვრობ? – მიმართა ცოტნეს.

– ჰო, აქვე ვცხოვრობ.

– მე არ მიცნობ?

ცოტნემ კიდევ ერთხელ შეხედა, თავი გაიქნია, არა, არ გიცნობო.

– რა მნიშვნელობა აქვს, მეც აქაური ვარ, – ველოდი წოწორია.

– ცოტნე, – გაეცნენ ერთმანეთს.

ველოდომ კიდევ ერთხელ შეავლო ხელი ველოსიპედს, ზარიც დააწკარუნა, წამიერად გაირინდა, თითქოს ზარის

ხმოვანებას ამოწმებსო, მერე შემობრუნებულმა წყლიანი თვალეbsი ცოტნეს მიაშუქა და შეეკითხა:





– ცოტნე, შეყვარებული თუ გყავს?

დაიბნა ცოტნე – ნეტავ რაში აინტერესებს, მყავს თუ არა შეყვარებული – კითხვაც უადგილო მოეჩვენა. ბევრი უნახავს მისი ასაკის ბიჭი ამ შეყვარებულობისთვის ცხვირგატეხილი. შეყვარებულობა დიდობას, კაცობას ნიშნავდა. თავი მოსწონდა, როგორ იტყოდა, შეყვარებული არ მყავსო.

– კი, მყავს.

– ძალიან კარგი. აბა, აწი უფრო კარგად გამიგებ. ცოტნე, ძმაო, – მხარზე ხელი გადახვია და დიდი კაცით დაიწყო, – შეყვარებული კაცი ვარ. ქვემოთ, სოფელში მუშაობდა, ერთ-ორ კილომეტრში ჩემი შეყვარებული. ველოსიპედით უნდა გავასეირნო. დაპირებული ვარ. ჩემი გამიფუჭდა. არ მინდა პირის გატეხა. ხომ იცი, რა ფხუკიანები არიან გოგონები? მოკლედ, თუ ძმა ხარ, შენიმათხოვე. შეატყო რა ცოტნეს შეყოვნება, უძალ მუდარით გააგრძელა, – დედას გეფიცები, ჩავალ, ერთ-ორ წრეს დაგარტყამ და ძალე მოვალ. კაცი არა ხარ? შეყვარებული მუშაობდა, – თითქმის აიცრემლა ველოდი...

დედის სიტყვები გაახსენდა ცოტნეს – დედის დაფიცება იგივე დედა ღვთისმშობლის დაფიცებააო. ღვთისმოსავი ქალი იყო ცოტნეს დედა, უაღრესად მორწმუნე. დედის ტყუილზე დაფიცება ყოვლად წარმოუდგენელიაო და თვითონაც ტყუილზე არასოდეს დაუფიცნია. დედა წმინდა ხატება იყო მისთვის. „რა ღმერთი გაუწყრება, დედა დაიფიცა. გაასეირნებს პატარას და მოვა. ვინ იცის როგორ ელოდება თავისი შეყვარებული“.

შეწუხებული იყო მაინც ბიჭი – გული ეთანადრებოდა, ერთხელ მაინც დამჯდარიყო. ეს კიდეც რაღა მაინცდამაინც ახლა გამოტყვრა, შეყვარებული ვარო, თანაც დედა დაიფიცა. ეჰ, რაც არის, არის. არ იფიქროს, რომ შევშინდი.

– კარგი, – ამოიკენესა ცოტნემ – შეყვარებულ კაცს ველოსიპედს როგორ დაგიკავებ, ოღონდ, თუ კაცი ხარ, დიდხანს არ მალოდინო.

– ძმა ხარ, ჩემო ცოტნე, ძმა.

ველოდომ ხელი ჩასჭიდა ველოსიპედს. ერთი ფეხით პედალი დაიჭირა, მეორეთი კი ზევიდან გადაეველო და წკარუნით თავქვე დაეშვა.

ცოტნემ თვალი გააყოლა თავქვე მიმქროლავ ველოდს, ჭუჭყიანი ხელები ჩვრით გაიწმინდა და ქვაზე ჩამოჯდა. უნდა დალოდებოდა, მეტი რა გზა ჰქონდა. ელოდა, ელოდა, მაგრამ ველოდი არსად ჩანდა.

კარგად შელამებული იყო, როცა აწრიალებულ ცოტნეს დედამისი წაადგა თავს.

– აქ რას აკეთებ, შვილო?

ცოტნეს ერჩია, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, რა ეთქვა. სიურპრიზი უნდოდა გაეკეთებინა მშობლებისთვის და, აი, სიურპრიზიც. საშველი აღარ იყო, უნდა ეთქვა სათქმელი...

– ნუ დარდობ, შვილო, მაგ საქმეს მე მივხედავ, მოგიკვდეს დედა.

სირცხვილმა და უსუსურობამ აიტანა ცოტნე, უკვე აღარ ენაღვლებოდა ველოსიპედი, ეჯავრებოდა კიდეც, აღარც ის ოფლის ღვრა მიაჩნდა დიდ რამედ, აღარც დამწვარი ხელი. რას არ გაიღებდა, ოღონდ დედაზე

დაფიცება ტყუილი არ ყოფილიყო, ოღონდ  
უნდობლობის ეჭვი არ დაბუდებულიყო მის გულში...

...ცოტნე მოგონებიდან ბავშვის ტიკ-ტიკმა გამოი-  
ყვანა.

– ბაბუ, ბაბუ, ვითამასოთ, ლა.

ახალგაზრდა, სრულიად ნორჩმა, თვითონ „ბავშვმა  
დედამ“ ცოტნეს ბოდიში მოუხადა და ბავშვი ხელში  
აიტაცა. ბავშვი კი ჭირვეულობდა, ბაბუასთან მინდა,  
ბაბუასთან მინდაო.

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, ღმერთმა გაგიზარ-  
დოს.

ცოტნეს ასე ცხადად არასოდეს შეუგრძენია ასაკი,  
ბაბუაო, შევერცხლილ თმაზე ხელი მოისვა და ნაღვ-  
ლიანი თვალი გააყოლა ახალგაზრდა დედა-შვილს,  
ნეტავ ვინ ეზრდება საქართველოს?!

...მზე მთებს მიღმა ჩაკარგულიყო. დასალიერში  
ცის კიდეს ვარდისფერი მოსდებოდა.

მომღევნო დღეც ხვატს ჰპირდებოდა დახუთულ  
ქალაქს.





**...ფაფაქაქიანი  
ზღვის  
ბაქალავით...**



\* \* \*

ფაფარაშლილი ზღვის ტალღასავით შეხეთქება ამაოების სალ კლდესთან და მერე რეტდასხმულს, ძლეულს, დარცხვენილს, უთვალავ ნაწილებად დამსხვრეულს, უკანვე ჩანთქმა წუთისოფლის ზღვარმოშვებულ ყოველდღიურობაში. მარტოსული, მარტოხელა, გრძობებისა და ემოციებისაგან დაცლილ სამყაროში. დრო კი მიჰქრის, ტკბილ-მწარე. ვნება-კვნესიანი წუთისოფელი თავისას ითხოვს. დრო კი მიჰქრის, ფიქრის ტყვევ და ვნებების მონავ.

\* \* \*

თავდაუზოგავად გარბოდა. ოფლისგან თვალები ეწვოდა, აქოშინებულს ფილტვები დასკლომაზე ჰქონდა. თითქმის ვეღარ სუნთქავდა, უკან მოხედვა არ უნდოდა, ცხენების ფლოქვების თქარათქური ისედაც ყურებს უნთქავდა. ვერ გავასწრებ, დამეწვევიან... მაინც ვერ მოითმინა, უკან მოიხედა, მზის სხივებისაგან ალაპლაპებული მუზარადიანი მხედრები ჭენებით მოსდევდნენ, ცოტაც და ააგებდნენ შუბის წვერზე. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ზღვასავით აბიბინებულ სიმიინდის ყანაში შევარდა. ნაწვიმარ სიმიინდის ყანას მცხუნვარე მზის სხ-

ივეები ორთქლის ბულში ხვევდა. დამძიმებული ჰაერი ისედაც სუნთქვაშეკრულს სულს უხუთავდა. სიმინდის სველი ხაოიანი ფოთლები სამართებელივით უსერავდა სხეულს. ღვარად მომსკდარი ოფლი ნაჭრილობევს ცეცხლს უკიდებდა. ძლივს გააღწია ყანის ბოლოს. კი არ სუნთქავდა... ხრიალებდა. და გასაქცევიც არსად ჩანდა... მარჯვნივ გადმომხობილი დასუროებული კლდე. უკან – სიმინდის ყანაში მოშლივინე შუბოსანი მხედრები. წინ და მარცხნივ – კლდის პირი, გამეჩხერებული ძელქვის ხეებით. ნუთუ დასრულდა ყველაფერი?! ახედა ზეცას... ცის კაბადონზე ნაფლეთი ღრუბელიც კი არსად ჩანდა, სილაჟვარდში ჩანქმულიყო ზეცა...

მხედრებაძდე ერთი ხელისგაწვდენა იყო დარჩენილი. შუბის წვერი ავისმომასწავებლად ციალებდა. კლდის მიღმა ატალახებული და მოდიდებული ძუსა... ფიქრის დრო აღარ იყო. კლდის ქიმზე შემდგარმა ერთი კიდევ მოიხედა უკან და მდინარეში გადაეშვა... წამები უკლდა ჩანთქმას. რაღაც ინსტიქტმა ხელები გააშლევინა. გააშლევინა და ჩანთქმის მაგივრად წყლის ზედაპირს ფრინველივით აეკრა. ფრთებივით მოიმარჯვა ხელები და ზეცაში აიჭრა. წონადაკარგული სხეული სივრცეს დაეპატრონა. აიქნია ხელები, კამარა შეკრა და ძელქვებისკენ გაფრინდა. ძელქვებთან ფრენა შეანელა, გახვევებულ მხედრებს ზემოდან ომახიანად დასჭექა, - ეჭვე, აბა რა გეგონათ!!!... თავზარდაცემულმა მხედრებმა საჭურველი მოისროლეს, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და სიმინდის ყანაში დურთეს თავი.

გალალებულმა ერთხანს ფრენით მისდია დაზაფრულ მხედრებს, შემდეგ კი ცის თალს შეეჭიდა. ზემოდან საამო სანახავი იყო ცისქვეშეთი, სხვადასხვა ფერად მოხატულ ხალიჩას ჰგავდა. რაც უფრო ზემოთ მიიწევდა, მით უფრო შეუმჩნეველი ხდებოდა საზღვრები ბაღ-



ბოსტნებსა და ეზოკარმიდამოებს შორის, მდინარე ძუსა ძაფივით დაწვრილებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ აღარც წყალი ჩანდა და აღარც მიწა, — უსაზღვრო ცა სილაჟვარდეში ჩანთქმულიყო. აღარ ფრენდა, სხეულსაც ვეღარ გრძნობდა. უკიდევანო სივრცე და გაფაციცებული გონება. სცადა გადაადგილება, გამოუვიდა. დიდხანს მიდიოდა. სილაჟვარდე გაქრა. თოვლზე უსპეტაკესი სითეთრე გამეფებულიყო, ნეტარების მომგვრელი იყო ეს სითეთრე. სვლა განაგრძო. შორს მანათობელი სვეტი შენიშნა. მზესავით ანათებდა, მაგრამ არა მწველად. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო უჭირდა თვალის გასწორება. უცნაურ ნათებას საოცარი სურნელიც დაერთო, გამალაღებელი, თავბრუდამხვევი და ჟრუანტელის მომგვრელი. წინსვლასთან ერთად სურნელიც ძლიერდებოდა და ნათებაც. ჯიქურ მონიღომა უსპეტაკესი სვეტისათვის თვალის გასწორება. თავი ასწია და... საყრდენიც გამოეცალა, დამძიმდა, თითქოს განსხეულდა. დამძიმებული სხეული ადგილიდან მოსწყდა, უსწრაფესად იწყო ვარდნა. მშუილთ მიჰქროდა ძირს. ნათელს გაცრეცილი ბინდის ფერი ენაცვლებოდა. სხივი კონასავით ჩაშვებულიყო მრუმე უსასრულობაში. ხელით წაეტანა, ჩაეჭიდა და თავი შეიმაგრა. სხივის კონა ფეხებსქვემოთ ეშვებოდა უსასრულობაში და თანდათან მკრთალდებოდა. დამძიმებული სხეული სხივის კონაზე ქანაობდა... და იყო კიდევ შიშნარევი, გაფაციცებული გონება.

ხელებმა წვა დაიწყო. სისხლის წვეთებიც გამოჩნდა, ნამდვილი, წითელი სისხლი, ამაზრზენი სუნით, რომელიც თანდათან მატულობდა. ზემოთ, სინათლისკენ მონიღომა ამოჩოჩება. ვერ შეძლო. თითებმაც უმატეს წვას. მიმოიხედა. გაცრეცილ სიმრუმეში რაღაც კონტურები გამოიკვეთა. თვალი შეაჩვია სიმრუმეს. გაურკვეველი ხმები ისმოდა.




სამოსშემოფლეთილი, გადამ-  
ტვრეულ შუბს დაყრდნობილი  
ცალფეხა მეომარი მისკენ ხელს  
იშვერდა და ილანძვებოდა, – სად  
არის ჩემი ვადაჯვრიანი ხმალი?  
გაყიდეთ ხომ, თქვე სატანის მო-  
ციქულებო, გეშინოდეთ! არც მიწა  
მიგიღებთ, არც ზეცა, არა წყალი  
არა მიწა, არა მამული, თქვე იქედნეს  
ნაშობნო.

დამძიმებული სხეული ქვემოთ  
მიცურავდა. ტკივილიც გაუსა-  
ძლისი ხდებოდა. უფრო და უფრო  
უძნელდებოდა მოქანავე სხეულის  
შეკავება. გაცრეცილი მიდამო სი-  
მყრალის სუნით ივსებოდა. დამ-  
წვარი გოგირდის, ლპობის და  
ხრწნის ერთმანეთში არეული სუნი  
სუნთქვას უკრავდა. თავის შეკავება  
ვარდნისაგან უდიდეს ძალისხმე-  
ვას მოითხოვდა. დაბლა, მიღმეთში  
ცეცხლის ალიც გამოჩნდა, ცხოვე-  
ლურმა შიშმა შეიპყრო.

მკრთალი ალის შუქზე შიშველი  
სხეულები დალანდა. ნათება ცე-  
ცხლისა ძლიერდებოდა. ბნელეთს ავბედითი წითელი  
ფერი ელაციცებოდა. შიშველი სხეულები უკვე კარგად  
ჩანდა. – ქალები იყვნენ, ყველანი ერთსახოვნად მოეჩვენა.  
მაღალი მკერდით და სხვა ქალური სამშვენისებით. შეე-  
ცადა ვინმე ამოეცნო და ამოიცნო – მისი ცხოვრების  
დიაცები...

...სარეცელზე ახალგაზრდა ქალი განროხმულიყო,



წელზემთ შიშველი, გვირილის ფურცლისფერ მუცელს ამაყად გადმოჰყურებდა, მაღალი, ოდნავ გვერდზე გაქცეული, ულამაზესი, ჯერ კიდევ მოუტეხავი მკერდი. დარცხვენილი ძუძუსთავეები ამოდ ცდილობდნენ მკერდზე ჩამოშვებულ თმებში დამალვას. კაკუნი. შველივით წამოვარდნა. შიშველ ტანზე უსწრაფესად გადაიცვა ჭვირვალი სამოსი და, ალანძული, ფანჯარას აეკრა. კაკუნი განმეორდა.

– გიო! – სახლის პატრონი ეძახდა მდგმურს.

– ღიახ, ქალბატონო ნათელა.

– ტელეფონზე გეძახიან.

წამიერად გამკრთალი ცხადება უმწვავესმა ტკივილმა გაფანტა. შიშველი სხეულები უმანინჯეს მაჯლაჯუნებად გადაქცეულიყვნენ. ზემოთ აიხედა, ნათელი თაღი ჭურის ყელის ოდენა გამხდარიყო. სხივის კონა ხელებს შორის თითქმის გალუულიყო. ისევ მონდომა ზემოთ აცოცება, ამო იყო წადილი... სხივის ფენაც გამქრალიყო... და მოსწყდა... შვილოო! მამის განწირული ხმა შემოესმა... მამიი! შეჰკვილა თვითონაც და ჩაინთქა...

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გზა სიარულმა დალია?! .....	3
ეგ არის არ გეტკინებაო?! .....	25
ფრთოსნები .....	33
ფიცი .....	41
... ფაფარაშლილი ზღვის ტალღასავით ... ..	57

წიგნი დაბეჭდილია  
პოლიგრაფიულ ფირმა „შარავანდში“.  
თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა, № 5

კომპიუტერული მომსახურება სალომე გიორგაძე

კორექტორი ნინო გიორგაძე



ცას შემოეწნა ცეცხლის აკიდო,  
გრგვინვამ გააპო ღრუბელი შავი,  
დაბანგულივით გზაარეულო,  
გეყოფა ძილი, აილე თავი,  
არ გაქვს უფლება, არ გაქვს უფლება,  
იწვე სიკვდილთან წილნაყარივით.  
მოყვრად მოსული ვითომ მოკეთე,  
ბილწი ზრახვებით, ფლიდი დიმილით,  
გადაგვარების, გადაჭრის,  
მოურჩენელი არის ტკივილი...  
შენ სხვა მისია გარგუნა დამერთმა,  
შენ გოლგოთაზე დიდხანს გივლია-  
ფებზე წამოდეგ და დაიქუხე-  
ქართლოსიანნო, რა დროს ძილია...  
სევდის ნისლევი მიმფანტ-მიმფანტე,  
ამომზიურდე, შენ შეგიძლია...